ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივერია

ეროვნულ დემოკრატიული პარტიის პერიოდული გამოცემა

№20

IVERIA

EDITION PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE

შ ი ნ ა ა რ ს ი

ქართველი ერის დიდი განმანათლებელი .....მ ი ნ დ ი ა ლ ა შ ა უ რ ი

„ეთნიური კრიზისი საბჭოთა კავშირში“ ....შ ა ლ ვ ა კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე

წარსულის სურათები .... გ ი ვ ი გ ა ბ ლ ი ა ნ ი

მოგონებანი ....ე ლ ი ზ ბ ა რ ვ ა ჩ ნ ა ძ ე

აპრილის დემონსტრაციის გაკვეთილი ..... მ ი ხ ე ი ლ ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე

ტფილისის მოედანი საარბრიუკენში

ჟურნალ კავკასიონის მეცხრამეტე ნომერი

სამგლოვიარო

NOVEMBRE **1978** *PARIS*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ერის დიდი განმანათლებელი.

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ ამა წლის მეექვსე ნომერი თითქმის მთლიანად მიძღვნილია დიდი ქართველი მამულიშვილის საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის მამამთავრის ილია ჭავჭავაძის ხსოვნისადმი.

ჟურნალი იხსნება ენათმეცნიერ არნოლდ ჩიქობავას სტატიით „ილია ჭავჭავაძე და სალიტერატურო ქართული ენის ერთიანობის საკითხი.“

აკადემიკოსი ა.ჩიქობავა მოგვითხრობს თუ როგორ და ვისი მეოხებით მოხდა ქართული ენის რეფორმა მეცხრამეტე საუკუნეში და ამბობს, რომ საკითხი გადაწყდა ერთი ენის სასარგებლოდ და ეს ერთი ენა უნდა ყოფილიყო ხალხის ენა; „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთთეორეტიკაო“. ეს იყო ილია ჭავჭავაძის დებულება და ამ დებულებამ გაიმარჯვა. ამ ხალხური ენით დაიწერა ქართული პროზის შედევრი „ოთარაანთ ქვრივი“, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ ?

შემდეგ მოდის მეცნიერ აკაკი გაწერელიას სტატია „დიდი მასწავლებელი“. ავტორს მოჰყავს მოხევე ლელთ ღუნიას ნათქვამი:„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“, და ამ დევიზმა გამსჭვალა ქართველი ხალხის შეგნება. ეს დევიზი ვეება ზარივით რეკდა ჩვენი ერის სულიერ და გონებრივ სამრეკლოზე“.ო ა. გაწერელია ამბობს:„ახალი სალიტერატურო ენის მშენებელი, პოეტი და ბელეტრისტი, დრამატურგი და თეატრის მოამაგე, ისტორიკოსი და პუბლიცისტი, მთარგმნელი და ლიტერატურის კრიტიკოსი, ღრმა პოლიტიკური მოაზროვნე, ეკონომისტი და ფინანსისტი საზოგადოებრივ საქმიანობათა მოთავე, ასეთია მოკლე სია ილიას მოღვაწეობის სფეროებისსაო“.

კიდევ მეტი იყო პატივცემულო მეცნიერო ილია ჭავჭავაძე– იგი არის ჩვენთვის ღმრთის წყალობა. იგი ზეცით მოვლენილია–მზით რომ ათბობს ქართულ ეროვნულ სულს.

მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის მიწიერი ზეციერსა.....

ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა!

აკი წარუძღვა კიდეცა! ერის წამების ჯვარი გოლგოთაზე აიტანა და დაეცა ერის საკურთხეველზე.

„ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა,-მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“ მაშასადამე :საქართველო უწინარეს ყოვლისა! აი ილიას მრწამსი მისი დროშა, ხრმალი და ბრძოლის შეძახილი.

„ მარად და ყველგან საქართველოვ მე ვარ შენთანა!“

„ძლიერო ღმერთო! მოჰმადლე ქართველს ქართვლის ნდობა და სიყვარული და აღუდგინე შშვენიერი ესე მამული!“....

ყველაფერს შეეხნენ ჩვენი მეცნიერები და პუბლიცისტები, მაგრამ გვერდი აუარეს მის უკვდავ სიტყვას „მამული“.ეს ვიდაცის ანგარიშში არ შედის.ჰოდა ილიას იდეალია ერთიანი, განუყოფელი მამული და არა დასებად დაპირისპირებული და დაყოფილი საქართველო.

„მოჰმადლე ქართველს ქართვლის ნდობა და სიყვარული“.

ჩვენი პუბლიცისტები არც იმას შეხებიან, თუ როგორ ესმოდა ილიას შრომის სუფევა:

მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცდები,წართმეულ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,

სხვას ძირს არ დასწევ,თვით ამაღლდები,არც ვის ემონ ვი, არც ვის იმონებ.

მაშასადამე, არა აღვირახსნილი დიქტატურა ეგრედწოდებულ პროლეტარიატისა.

გაბატონებული აზრი იყო, რომ ილია უცხო იყო მდაბიო ხალხისათვის.–მიუკარებელი ვით მწვერვალი მყინვარისა.მთელი მისი მოთხრობები :„კაცია ადამიანი?“ ,„ გლახის ნაამბობი“, „ „ოთარაანთ ქვრივი“, პოემა „კაკო ყაჩაღი“ და მისთანანი მშრომელი ხალხისადმი სიყვარულითაა გამთბარი. რა იყო ის უსამართლობა, რასაც ილია ებრძოდა? ეს იყო ბატონყმობა. „კაკო ყაჩაღი“ ამხედრებაა წინააღმდეგ ამ სისტემისა, კიდევ მეტი:ასეთი სიმკაცრით ქართულ მწერლობაში ჯერ არავინ გამოსულა, როგორც ილია ჭავჭავაძე–ბრწყინვალე გვარიდან..

ილია ყველაფერია ქართულ ცხოვრებაში. იგი ვით მოურავი თავს დასტრიალებს ყველაფერს ქართულს:საადგილ–მამულო ბანკი, ქართული თეატრი, წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, მშობლიური ლიტერატურა, ჩვენი ისტორია და მისი დაცვა.

ვისგან იცავდა ილია საქართველოს ისტორიას, მის წარსულსა და სახელს? – ყოველგვარ შავრაზმელებისაგან, ეროვნული ნიჰილისტებისაგან, დათვის სამსახურის გამწევთაგან. *1801* წელს წაქცეულ საქართველოს, ბრუნდი თუ მართალი, ყველა სხეულსა გლეჯდა. ჰყიდდენ მას ცალბით თუ ბითუმად, მფარველად მოწვეული თუ შემოხიზნული, პატივმოყვარე თუ მოტმასნილი , მტერი თუ უგუნური მეგობარი. ამ უკუნეთში არ ჩანდა ადამიანი, რომელიც ერს დაიცავდა.

„მარად და ყველგან საქართველოვ მე ვარ“ დასჭექა ჩვენმა დიდმა მოამაგემ და და *1905*წელს ილია გამოდის საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნით.

შენთანა

ჟურნალში არაფერია თქმული სახელმწიფო საბჭოს წევრად ილიას არჩევის შესახებ. *1906* წელს მარტში ილია ჩავიდა პეტერბურგს თავად-აზნაურობის საიმპერიო ყრილობაზე. იმ-ავე წელს არჩეულ იქმნა სახელმწიფო საბჭოს წევრად. კორესპონდენტებთან ინტერვიუში ილია პირველ რიგში, ეხება ქართველი ხალხის აწიოკების საქმეს მეფის, დამსჯელი რაზმების მიერ. ჰოდა, საბჭოს პირველსავე სესიაზე, ოცდაორ აგვისტოს ილია გამოდის მეფის მთავრობ-ისადმი კრიტიკით. ხოლო მეორე სხდომაზე ილია წარმოსთქვამს თავის შეუპოვარ სიტყვას სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. ამ გამოსვლის დროს შინაგან საქმეთა მინისტრმა მას რეპლი-კა ესროლა. ილია მაგრად დაუხვდა მას და განაგრძო: რაც შეეხება ჩვენი ეროვნული დროშის ასე ჩვარში გახვევას, მე უნდა მოვაგონო ბატონ გურკოს, რომ ქართული დროშა ორიათასი წლის მანძილზე ქართველობას სახელითა და დიდებით ხელში სჭერია, თავის სისხლში ამოუვ-ლია....და ბოლოს, რა მთავრობაა ის მთავრობა, რომელსაც თავისი ბატონობის შენარჩუნების საშუალებად მხოლოდ მათრახი და სახრჩობელა ღა დარჩენია".

"მარად და ყველგან საქართველოვ მე ვარ შენთანა!" დასძახოდა მთელ ერს ჩვენი დიდი მოურავი და სკოლების გახსნას შეუდგა ქვეყნის გულმკერდიდან ძალით მოგლეჯილ და შემდეგ კვლავ დაბრუ-ნებულ აჭარაში, სადაც კვნესოდა ქართული სული. მომხვდურნი ვინაობასაც კი ავიწყებდნენ ამ მკვიდრ ქართველებს. გვარები ოღლებად ჰქონდათ გადაკეთებული. ამ დროს ილია მფარველად და განმანათლებლად მოევლინა აჭარას. *1881* წლის მარტში ილიას მეთაურობით ბათუმში გაიხსნა პი-რველი ქართული სკოლა. ჰაიდარ აბაშიძე, რომელმაც დიდად იღვაწა ქრისტიან და მაჰმადიან ქარ-თველთა დაძმობილებისათვის მოგვითხრობს: „მეც მქონდა ბედნიერება პირველი ნათლობა ამ სკოლ-აში მიმეღო. *1900* წლიდან სხვა აჭარლებთან ერთად მეც ამ სკოლაში ვსწავლობდი, აქ ვეზიარე პირველად იმ შეგნებას, რომ ჩვენ-აჭარლები თათრები კი არა-ქართველები ვართ".

იმ დროს როცა ჩვენი მტრები, სამეგრელოს ჩამოშორებას ლამობდნენ საქართველოსაგან, ილია სამეგრელოს ესტუმრა. სურდა მეგრელთა, ამ ძველ კოლხთა სულსა სწვდენოდა უშუალოდ. ცოტნე დადიანის სამშობლო, ქართველური გრძნობით დახვდა ილიას. მისი სამეგრელოში ჩასვლა ქართული სულის ტრიუმფად იქცა. მაშინ მეგრელთა ქართული სულით აღფრთოვანებულმა დიდმა ქართველმა წარმოსთქვა: სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახეო. და მართლაც, ივერიას კოლხეთით უა-მაყნია. მეგრელი კოლხობას შინაგან ეტრფის, ხოლო ბედი ქართლისათი სუნთქავს. აქ ჯეიბრს ვერა-ვინ აღმართავს. მეგრელი არაგვსა და ენგურს ერთგვარად ეტრფის.

ილიას იუბილესთან დაკავშირებით ჟურნალ „ცისკაში" მოთავსებულია ერთი უცნაური შენი-შვნა: „სინამდვილედ იქცა რასაც ოცნებობდა ილია, დღეს მის იუბილეს აღნიშნავს თავისუფალი, ბე-დნიერი სოციალისტური საქართველო"...არ გავაგრძელებ. თუ როგორ ბედნიერია დღეს საქართველო, ჩემზე არანაკლებად მოეხსენება ცისკარის თანამშრომლებს. ხოლო თითქოს ილია სოციალისტურ სა-ქართველოზე ოცნებობდა, სიმართლეს მოკლებულია, რადგან ილიას სოციალიზმისა არაფერი სწამდა. მთელი მისი მოძღვრება ქართულ ეროვნულ ნიადაგზეა აგებული. ილიას რომ ეს გააგონა, საფლავში გადაბრუნდებოდა.

რა გრძნობით აღსავსეა ის სიტყვა, როცა ილია მოხევეს პასუხობს: „მიგიხვდი, ჩემო მოხე-ვე რა ნესტრითაცა ხარ ნაცხვლეტი. ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო-სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეს გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემ-დის? ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი".

ბევრი უბედობა მოსვლია საქართველოს, მაგრამ *1907* წლის აგვისტო შავ ლაქად დარჩება ქართ-ლის მატიანეში. ასჯერ წყეულთა ხელი შეეხო, ხელი ბინძური საქართველოს გვირგვინს ერის მამას... წიწამური შეიღება ილიას უმანკო სისხლით.

ორმოცდაათ წელიწადს ზრდიდა და უვლიდა ქართველ ერს ილია. ამიტომ არის იგი მისი მეთა-ური გონება და ბელადი. ბელადობისათვის მაგარი ძირია საჭირო, ფესვები ღრმად ჩადგმული უნდა ჰქონდეს მიწის წიაღში, რომ ვერვითარმა გრიგალმა ვერ მოგლიჯოს ვერც შეარყიოს. ასეთი იყო ილია ქართული აზროვნობის გოლიათი. აი ვისი სისხლით შეიღება წიწამური....

უგუნურებმა იესოც აცვეს ჯვარს, მაგრამ ჯვარცმულმა მსოფლიო დაიპყრო.

ქართველმა ერმაც ილია თავის საფიცარად გაიხადა, ვით უდიდესი შვილი ქვეყნისა-ყველ-აზე უპირველესი. ილია ცოცხალია, განა მკვდარია! ის ქართველმა ერმა გააცოცხლა. ის მარადიულია, რადგან ილია ქართველი ერია, მისი გული, მისი უკვდავება. ილია იცოცხლებს ვიდრე საქართველო ცოცხალია. აწ ილია არ მომკვდარა, მამულისთვის რჩება ლამპრად!

სთქვა აკაკიმ ილიასთან გამოთხოვებისას.

მინდია ლაშაური.

„ეთნიური კრიზისი საბჭოთა კავშირში.“

დღეს არავისათვის სადაო არ არის ის აბბავი, რომ ნაციონალური პრობლემის მოუწესრიგებლობა ჩვენი ეპოქის ერთი დიდი სატკივარია. ამ პრობლემამ თანამედროვე ცხოვრებაში ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. მით უმეტეს ჩვენთვის, ქართველებისათვის, მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ მრავალ საკითხთა შორის ის ყველაზე უფრო გვაინტერესებდეს, როგორც პრაქტიკულად ისე თეორიულად. მაგრამ ნაციონალური პრობლემით არა მარტო დაჩაგრულ ერთა წარმომადგენლებია დაინტერესებული. არამედ უცხოეთის ინსტიტუტები, პუბლიცისტები და ცნობილი ჟურნალისტები.

ამერიკულ ჟურნალის „ფორჩენის“ ივლისის ნომერში მოთავსებული იყო წერილი, ამ ჟურნალის რედაქტორის თანაშემწის ჰერბერტ მაიერისა – სათაურით „მომავალი ეთნიური კრიზისი საბჭოთა კავშირში“. ხსენებული წერილის იდეა ახალი არ არის, იგი თავისი შინაარსით ახლოა ზბიგნევ ბეზინსკის შეხედულებასთან, რომელიც ამ უკანასკნელმა გამოსთქვა 1975 წელს წერილში „ნაციონალური საკითხი საბჭოთა ხელმძღვანელობის პოლიტიკისათვის საბედისწერო გახდება“.

ჰერბერტ მაიერის წერილის ღირსება იმაშია, რომ იგი ცდილობს, უკვე წინედ მრავალჯერ გამონათქვამი იდეა, ახალი ფაქტებითა და უკანასკნელი სტატისტიკური მონაცემებით დაასაბუთოს. მაიერის აზრით, საბჭოთა კავშირი სრულიად არ ჰროს ქვეყანა ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, არამედ იგია მსოფლიოში უკანასკნელი შემორჩენილი იმპერია, მეცხრამეტე საუკუნის იმპერიათა მსგავსი, რომ რევოლუციამ რუსეთში მოშალა მეფის რეჟიმი: მაგრამ მთლიანად შეინარჩუნა რუსეთის იმპერიის სტრუქტურა. მაგრამ ნაციონალურ რესპუბლიკათა მოსახლეობა არ ტოვებს თავიანთ რესპუბლიკას. ხალხები კატეგორიულად უარს აბბობენ ერთმანეთში არევაზე. ამავე დროს არც ხალხთა თანასწორობის პრინციპი ტარდება ცხოვრებაში. ყოველ საკავშირო დაწესებულებაში დიდ უმრავლესობას რუსები შეადგენენ. პოლიტბიუროს თორმეტი წევრიდან ათი რუსია; პარტიის სამდივნოს ათი წევრიდან ცხრა რუსია. რუსები შეადგენენ აგრეთვე აბსოლუტურ უმრავლესობას მრეწველობის, ჯარის და სხვა სფეროთა წარმომადგენლებს შორის. ამას ემატება ისიც, რომ კავშირში ტარდება აშკარად კოლონიალური პოლიტიკა– ნაციონალურ რესპუბლიკებში რუსების ჩასახლებით.

დღეს რუსებს მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით არარუს რესპუბლიკებში მეორე ან მესამე ადგილი უკავიათ. რაც შეეხება ყაზახეთის რესპუბლიკას აქ რუსები გაცილებით მეტი არიან ვიდრე თვით ყაზახები. ანალოგიური მაგალითები მეიერის წერილში მრავალია, მაგრამ, ჩვენ მოვიყვანთ კიდევ ერთს, რომელიც ჰერბერტ მეიერისათვის მთავარზე–მთავარია: რესპუბლიკების ეკონომიური უთანასწორობა. რუსეთის სამრეწველო პროდუქცია შეადგენს საბჭოთა კავშირისაში სამოცდაორ პროცენტს; უკრაინისა ოცდაორს და ბალტიის ქვეყნებისა რვა პროცენტს. ყველა დანარჩენებს რჩებათ რვა პროცენტი – რაც ნიშნავს ეკონომიურ ურთიერთობათა ტიპიურ იმპერიალისტურ სტრუქტურას. მრეწველობა უნდა ვითარდებოდეს არა კოლონიებში, არამედ – მხოლოდ მეტროპოლიაში. ჰერბერტ მეიერისათვის– საბჭოთა კავშირის ეკონომიური სტრუქტურა შეიძლება იმ ნაღმად იქცეს, რომელიც ძირ–ფესვიანად მოთხრის საბჭოთა იმპერიას. ამჟამად რუსეთის ფედერაციის მოსახლეობის მატება თანდათან ეცემა, ხოლო სხვა რესპუბლიკებში, განსაკუთრებით შუაზიისაში საგრძნობლად იზრდება. ორიათას წლისათვის, საბ. კავშირში, საბჭოელ მკვლევართა გამოანგარიშებით, რუსული მოსახლეობის პროცენტი თექვსმეტზე დავა, ხოლო შუაზიის რესპუბლიკების მოსახლეობა საბ. კავშირის მოსახლეობის ერთი მესამედი გახდება. გასაგებია – ასეთი დემოგრაფიული გადანაწილება საამო არ არის საბჭოთა მეთაურთათვის. ამ გადანაწილების ეკონომიური შედეგები უახლოეს დროში ფატალური აღმოჩნდება საბჭოთა იმპერიისათვის. ჰერბერტ მაიერს მოჰყავს საბჭოთა მკვლევარების პროგნოზები საბ. კავშირის დემოგრაფიის გადანაწილებაზე და დაასკვნის, რომ უკვე ოთხმოციან წლების დასაწყისში მოწიფული რუსული მოსახლეობა არასაკმარისი იქნება იმისათვის, რომ მომსახურება გაუწიოს მრეწველობას რუსეთში. ხოლო რუსული მრეწველობის მოკლე დროში შუაზიაში გადატანა, აშკარად შეუძლებელია. და თვით საბჭოთა ხელმძღვანელობა, ამერიკელ პუბლიცისტს თქმით, ამ პრობლემის ამგვარად მოწესრიგებისათვის არავითარ ნაბიჯს არა დგამს. რა დარჩენია საბ. ხელისუფლებას მოახლოვებულ ეკონომიურ კატასტროფის თავიდან ასაცილებლად? სამხედრო ხარჯების საგრძნობლად შემცირება– ვარიანტი ფრიად საეჭვო; რჩება ერთად–ერთი ვარიანტი –სამუშაო საათების გადიდება და საპენსიო ასაკის გადაწევა. საეჭვოა,

რომ ამგვარი ზომებით კმაყოფილი დარჩეს საბჭოთა კავშირის მოსახლეობა. ჰერბერტ მაიერმა ვერ იპოვა სხვა ზომა, რომლითაც ხელისუფლებას შეეძლებოდა მომავალი აუცილებელი ეკონომიური კატასტროფის თავიდან აცილება. ამას ჩვენ დავუმატებთ.

ბოლშევიკები ძალიან ამაყობენ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციით. მხოლოდ უნდა ითქვას, რომ ეს „ინდუსტრიალიზაცია" უზომოდ ძვირად დაუჯდა საბ. კავშირში შემავალ ხალხებს. საბჭოთა ხელმძღვანელობის მრთელი ყურადღება მძიმე ინდუსტრიისაკენ არის მიმართული, ხოლო მძიმე ინდუსტრიისათვის გაწეული ხარჯი მატერიალურად უსარგებლოა, უნაყოფო, სიმდიდრის შთანთქმელი. იგი არაა მწარმოებელი და ქონების შემქმნელი. მძიმე მრეწველობა მაშინ არის სასარგებლო, როცა იგი მრეწველობის სხვა დარგის განვითარებას უწყობს ხელს. სახელდობრ–მსუბუქ მრეწველობის განვითარებას და საზოგადოების ყოველდღიურ მოთხოვნათა საგნების დამზადებას აადვილებს. უამისოდ იგი მახინჯი უზომოდ გაბერილი თავია, ჯუჯა სხეულზე გამობმული. ასეთი შეუსაბამობა აზიანებს და აავადებს მთელ სხეულს. აი, ეს ჭირი შეეყარა საბ. კავშირს. არც მსუბუქი მრეწველობა, ე.ი. ფართო მოხმარების საგანთა დამზადება და არც სოფლის მეურნეობა არ უდგება მთელი სახალხო მეურნეობის არანორმალურად „გაბერილ თავს". ასეთი მდგომარეობა, ცხადია, სამუდამოდ ვერ გასტანს.

შალვა კალანდაძე.

წარსულის სურათები.

ამერიკელმა მოგზაურმა მაინარდ ოუენ ვილლიამს–მა *1918* წლის ოქტომბრის ამერიკულ გეოგრაფიულ ჟურნალში ვრცელი ნარკვევი მოათავსა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. ის დასწრებია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის და კათალიკოსის კურთხევის ზეიმს მცხეთაში, *1917* წლის თოთხმეტ ოქტომბერს. იგი ამ ზეიმის მომხიბლავ სურათებს აღწერს: –ქალ–ვაჟთა გუნდს და ჩვენი რელიგიის „ჩემპიონებს"– ჯვაროსან ხევსურებს, რომელნიც ფარ–ხმალით აღჭურვილნი, და აბჯარასხმულნი მიჰყვებოდნენო პროცესიას. ვილლიამსი აგრეთვე ვრცლად ეხება საყოველთაო თავისუფალ და საიდუმლო არჩევნებს საქართველოში და შენიშნავს, რომ პოლიტიკური პარტიები ერთმანეთს ეჯიბრებოდენ ისეთივე მეთოდებით, როგორც ეს ხდება ნამდვილ დემოკრატიულ ქვეყნებშიო. დედაკაცები მხურვალე მონაწილეობას ღებულობდნენ საიდუმლო კენჭისყრაში და ხშირად ხმას აძლევდნენ სხვა კანდიტატს, ვიდრე მათი მეუღლეებიო. მისი თქმით, ბოლშევიკებსაც ჰქონდათ კენჭისყრის უფლება, მაგრამ მხოლოდ თვრამეტი ათასი ხმა მიიღეს და აქედან თორმეტი ათასი ხმა დემობილიზებულმა რუსმა ჯარისკაცმა მისცეო.

ამავე ნარკვევში ავტორი აღტაცებით აღწერს საქართველოს ისტორიას და თხრობას ასე ამთავრებს: „ათას ცხრაას თვრამეტი წლის ოცდაექვს მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, არავინ იცის შესძლებს თუ არა საქართველო თავის დაცვას თურქებისა და გერმანელებისაგან, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო უბრძოლველად არავის დაემორჩილებაო." (ეტყობა– ამერიკელი მოგზაური, ან არ იცნობს გერმანელების მიერ ნათამაშებ როლს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში, ან ტენდენციურად სდუმს ამ საკითხზე –როგორც გერმანიის მოწინააღმდეგე ბანაკის წარმომადგენელი). იგი მოწმე ყოფილა სამგლოვიარო პროცესიისა, სადაც ბრძოლაში ერთად დაცემულ ქართველ და გერმანელ ჯარისკაცებს საერთო სასაფლაოსკენ მიასვენებდნენ. ესენი იყვნენ მსხვერპლნი ქართველთა და თურქთა შორის მომხდარ ბრძოლისა საქართველოს საზღვრების დასაცავად. *1918*

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გერმანიის რაიხსტაგის სხდომათა ანგარიშები–*1918* წლის, ოცდაოთხ და ოცდახუთ ივნისის თარიღით. გერმანელი დეპუტატები ერთგულოვნად მხარს უჭერენ საქართველოს დამოუკიდებლობას და ყოველგვარ დახმარებას აღუთქვამენ მას. ამ ისტორიულმა ფაქტმა ოცდასამი წლის შემდეგაც, მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში, მრავალი ქართველის ფსიქოლოგიურ განწყობილებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. გარნა ის მაშინდელი გერმანია ჰიტლერისა კი არა, სხვა გერმანია იყო და მას რომ პირველი მსოფლიო ომი მოეგო, საქართველოს ისტორია სხვაგვარად დაიწერებოდა.

ბატონი ვილლიამსი მოწმე გახდა რომანოვთა იმპერიის დანგრევისა, რამაც დაპყრობილ ერებს საშუალება მისცა დამოუკიდებლობის აღდგენისა. მან არ იცოდა, რომ იგივე რუსეთი, ამ შემთხვევაში წითლად შენიღბული, კვლავ წაართმევდა მათ თავისუფლებას.

ორივე ფერის რუსეთმა, ხელშეკრულების გატეხვით, ცბიერებით და უხეში ძალის თავ-
ისდროზე გამოყენებით, ჩაიგდო ხელში [illegible] საქართველო. იმ პოლიტიკურ გარემოცვის გამო,
რომელშიც საქართველო იმყოფებოდა, ერეკლე მეორე რუსეთს ტრაქტატით შეეკრა, რომლის
მიხედვით [illegible] „მთელი მსოფლიოს წინაშე" რუსეთის მეფე საქართველოს გარანტიას აძლე-
ვდა, რომ დაიცავდა მის ტერიტორიულ მთლიანობას, მის ხელშეუხებლობას, და სამეფო ტახტის
არსებობას. ხოლო ქართველი მეფე მოვალე იყო რუსეთის მტერი საკუთარ მტრად მიეჩნია და
საამისოდ მოქცეულიყო. გარნა, როგორც ვიცით, მეფე გიორგის გარდაცვალების შემდეგ, რუს-
ეთმა გიორგის მ[illegible]კვიდრეს ტახტის დაპერის უფლება არ მისცა და რვაასპირველი წლის თვ-
რამეტ იანვარს ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის ნაწილად გამოაცხადა. ამ ხელშეკრულების
დარღვევა იმდენად უხეში იყო, რომ პავლეს მემკვიდრე ალექსანდრე პირველიერთხანს ყოყმა-
ნობდა. ვიცე-კანცლერი გრაფი კოჩუბეი მეფეს ურჩევდა, რათა რუსეთ-საქართველოს ურთიერ-
თდამოკიდებულება არსებულ ხელშეკრულების თანახმად წარემართა. სამწუხაროდ ამ მიმართ-
ულებამ ვერ გაიმარჯვა და ალექსანდრე პირველმა რვაასპირველი წლის სექტემბერში აღმოს-
ავლეთ-საქართველო საბოლოოდ რუსეთის პროვინციად გამოაცხადა.

მოგვიანებით დასავლეთ საქართველოსაც იგივე ბედი ეწვია.

1811 წელს ქართულმა ეკლესიამ დაჰკარგა დამოუკიდებლობა და იგი რუსეთის სინოდს
დაუმორჩილეს. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, რუსეთმა მთელი კავკასია დაიპყრო.
ქართული სკოლები დახურეს, ქართული უნივერსიტეტი აკრძალეს, სახელმწიფო ენად რუსული
გამოაცხადეს.

ლენინის რუსეთმაც იცნო საქართველო და მასთან სათანადო ხელშეკრულება დასდვა, მა-
გრამ მეფის რუსეთის მსგავსად, ხელმეორედ დაიპყრო. აღვნიშნოთ, რომ საქართველოს რესპუბ-
ლიკის მთავრობა „კაპიტალისტებს" და „რეაქციონერებს" კი არ წარმოადგენდა, არამედ სოციალ
დემოკრატებისაგან იყო შემდგარი, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ რუსეთის მუშათა სოცი-
ალ- დემოკრატიულ პარტიის წევრები იყვნენ და მეფის რუსეთის დამხობაში თვალსაჩინო როლს
ასრულებდნენ. ამ გარემოებამ რუსეთის ბოლშევიკურ „სოციალისტურ" მთავრობას ხელი არ შე-
უშალა, უცხო ტერიტორიების დაპყრობაში. -იდეოლოგიურ ნათესავობის მიუხედავად.

„შინაარსით სოციალისტურ და ფორმით ნაციონალურ" ლენინურ სამოთხეში ამ ბოლო
ხანებში, „მოძმე" არარუს რესპუბლიკებში მშობლიურ ენასაც შეუტიეს, და მეფის რუსეთის
მაგვარად სახელმწიფო ენად რუსული ენის გამოცხადება მოინდომეს. როგორც სჩანს ჯერჯერო-
ბით მაინც, საქართველომ ეს ერის საბოლოოდ გადამგვარებელი ვეღიკოროსული შემოტევა,
მოიგერია. პატრიოტთა ასეთი საქციელი წიაპართა ძვლებს საფლავებში გაახარებს.

ისტორია გვასწავლის, რომ იმპერია ,როგორც ბავშვი, იბადება იზრდება ხუცდება და
ბოლოს კვდება. ასეთ ბედს ვერც წითელი იმპერია აცდება, რომელმაც აუწერელ ტირანიით,
გულაგის არხიპელაგებით და უდანაშაულო ადამიანთამასიური ჟლეტით, ყველა აქამდე არსებულ
იმპერიათა სისასტიკეს გადააჭარბა.

ამერიკული გეოგრაფიული ჟურნალი კიდევ გამოდის. ვილლიამსის შემდეგ ჟურნალის ფუ-
რცლებზე მრავალი ხალხის ყოფა-ცხოვრება აიწერა. იმათში რამდენსამე ათეულს წინედ მხო-
ლოდ როგორც ეთნიურ ელემენტებს მოიხსენიებდნენ. ახლა მათ პოლიტიკურ ელემენტებად აც-
ნობენ მკითხველებს.

საქართველოს პოლიტიკურ ერთეულად მოხსენების დღეც კვლავ დადგება და მცხეთაში
უფრო გრანდიოზული ზეიმი გაიმართება. იბერიელ ხევსურებს გვერდით კოლხეთის ხევსურები
-სვანებიც მოუდგებიან და ვინმე ახალი ვილლიამსი უფრო მეტის აღტაცებით ჩაიწერს იმ
წუთებს, ოდეს

„გაისმა უცებ „ლილე" ამაყი

მთების ბუნების ჰიმნი სვანური" *

გივი გაბლიანი.

*) ლ. ასათიანი.

ელიზბარ ვაჩნაძის მოგონებანი.

ქვემოდ გამოქვეყნებულ მოგონებას თავისი პატარა ისტორია აქვს, რომელიც საჭიროა მკითხ-ველმა იცოდეს.აქ მოყვანილი ტექსტი ელიზბარს არ დაუწერია, არამედ ჩემ მიერ არის ჩაწერილი მისი ნაამბობის მიხედვით. 1945 წლის აპრილის ბოლო რიცხვებში, ელიზბარ ვაჩნაძე, მიტო სინჯ-იკაშვილი, ვინმე ქარდავა და მე , რადგან დაბიმბვისა გამო მატარებლები არ მოძრაობდნენ,ზალც-ბურგიდან მოკლე გზით ფეხით გადავედით იტალიაში. უღელტეხილს რომ ვუახლოვდებოდით, თომა ბექაური შემოგვხვდა საწინააღმდეგო მიმართულებით მომავალი. თომა რომ დაგვცილდა, ელიზბარს ვკითხე: ეს თითქმის უწიგნო კაცი როგორ ერკვევა ევროპის გეოგრაფიაში მეთქი. სიცილით მიპას-უხა: თომასაებრ ბუნებისშვილები, ორიენტაციას უფრო სწორად იღებენ ალღოს საშუალებით, ვიდრე ჩვენ-ქარტებითა და კომპასითაოდა თავისი თავგადასავალი მოიგონა. მაშინ ვუთხარი :ელიზბარ ეს ამბები უნდა დაწერო მეთქი. რა დროს ეგეებია ვერა ხედავ ქვეყანა იქცევაო.

იტალიურად-პასო დე კროჩე-.ე-.ი.ჯვარის უღელტეხილის გადაღმა ხეობას ფრიდონ წულუკიძის ესესები იცავდნენ . უახლოესი პოსტის უფროსი ნიკო ნაკაშიძე იყო , ჩვენც მასთან შე-ვჩერდით ღამის გასათევად. მე და ელიზბარი ერთ ოთახში მოვხვდით. ძალიან დაჟინებით ვთხოვე მიამბე შენი თავგადასავალი მეთქი. დიდი ხვეწნის შემდეგ ავალაპარაკე. (ერთი დიდი ძეხვი შევა-ჭამე ერთი ბოთლი არაყით. ამანაც იმოქმედა).

თარიღებს, სოფლების სახელებს და დასახელებულ გვარებს უკლებლივ ვიწერდი, დანარჩენს შეძლებისდაგვარად კონსპექტის სახით ვინიშნავდი. ელიზბარს ზოგი თარიღი და სოფლის სახელი თითონაც ერთი პატარა წიგნაკიდან ამოჰქონდა. ასე ვალაპარაკე რამდენიმე საათი. მამალმა რომ იყივლა, ახლა თავი დამანებეო-კედლისკენ მიბრუნდა და დაიძინა. მე ჩემს კონსპექტს დავუბრუნდი და გადავათვალიერე. რიჟრაჟი ახლოვდებოდა როცა მეც დავიძინე.

მეორე დღეს რის ვაივაგლახით, ერთი საათის განმავლობაში დაჩქარებით მიამბო ამ ტე-ქსტის ბოლო ნაწილი-დაახლოვებით მთელის მეოთხედი. შუადღისას ჩვენ ერთმანეთს დავშორდით. მე იმედი მქონდა, რომ ელიზბარს კიდევ შევხვდებოდი, დანარჩენსაც ვაამბობინებდი და მთელ მოთ-ხრობასაც უფრო დეტალურად შევავსებდი. საუბედუროდ, ელიზბარი ისე გარდაიცვალა, რომ მას არსად შევხვედრილვარ.

ასეთ პირობებში ჩაწერილი ნაამბობი ცხადია-უმთავრესად მოქმედების აღწერაში- შეიძლება მთლად ზუსტად არ იყოს წარმოდგენილი, მაგრამ თარიღები და სოფლებისა და პირთა სახელები ზუ-სტად არის გამეორებული. როგორი მოკლეც არ იყოს ეს თხრობა, ამ დოკუმენტის მთავარი ღირსება ის არის, რომ ყველაზედ უკეთ ინფორმირებულ კაცის ნაამბობია და თანაც ყოველგვარ გადაჭარბე-ბას, ტენდენციურობას ან მოამბეს მიერ თავისი თავის პირველ ადგილზე გამოჩენისცდას სრულებით მოკლებულია. ვინც ელიზბარს იცნობდა, იმისათვის მოთხრობის ასეთი ხასიათი არც გასაკვირია.

მ. ქ.

ელიზბარის ნაამბობი.

მე და მიტო ხმალაძე ტფილისიდან ფეხით წავედით ქაქუცასთან შესაერთებლად,. ვიარეთ ღამით და ასოცი ვერსტის გავლის შემდეგ, სოფელ კოლაკს მივაღწიეთ. (სიღნაღის მაზრაშია). აქ გავიგეთ რომ ქაქუცა თორმეტი კაცით უკვე ტყეში გასულა -თორმეტ მარტს.ოცდაორ წელს. როცა ჩვენ სო-ფელ კოლაკს მივაღწიეთ, თურმე იმ დღით ქაქუცაათი კილომეტრის სიშორეზეიმყოფებოდა ჩვენგან და სწორედ იმ საღამოს წასულათელავის მაზრისაკენ. მე და მიტომ გადავწყვიტეთ ქაქუცას კვალს გავგაყოლოდით, მაგრამ გურჯაანში ორთავე დაგვატუსაღეს. ჩვენ გაქცევა მოვახერხეთ და ვაჩნ-აძიანში ჩავედით სადაც კიდევ ერთი ოფიცერი შემოგვიერთდა და სამთავენი თელავს ჩავედით. თე-ლავში შევხვდით არჩილ ვაჩნაძეს, რომელიც ქაქუცას მიერ იყო გამოგზავნილი სხვა რაზმელების წამოსაყვანად. თელავიდან ოთხნივე-არჩილთან ერთად ალავერდის ეკლესიისაკენ გავეშურენით, მაგრამ ქაქუცას აცაც ვერ ჩავუსწარით- იგი პანკისის ხეობაში გადასულიყო. (სოფ. დუისში თიან. მაზრა). მეორე დილით შევხვდით ქაქუცას მიერ გამოგზავნილ ორ რაზმელს: მალაქია მაისურაძეს და მარგალიტაშვილს -მათთან იყო ქაქუცას „ავშირი" წიკლაური. დაღამებისას ყველანი გზას გა-ვუდექით ტყეში შესულები და შვაღამეს ქაქუცას სადგომს მივაღწიეთ. ვიდრე უშუალოდ ქაქუცას-თან მივიდოდით ყარაულების ხაზი გავიარეთ , რომელიც იმ არემარეს იცავდა.

ამ ადგილიდან ქაქუცამ მთელი რაზმი დაძრა და ქაქუცას სოფლის-მატანის მახლობლად და-ვბინავდით. აქ ხალხმა დაისვენა და ნახევარი დღე სოფელშიც კი გავატარეთ. აქედან ქაქუცამ ტფი-ლისში გააგზავნა მანუჩარ ჯ. -განსაკუთრებული დავალებით მეთაურ ოფიცრებთან და ერ. დემ. პა-რტიის ხალხთან შესახვედრად.

ამ ადგილებში ყოფნის დროს გავიგეთ , რომ სფელ ახმეტიდან ჩეკისტების რაზმი დაიძრაო თიანეთისაკენ.საშინელი ამიდი იყო გაზაფხულის მიუხედავად, ტყეში უცეცხლოდ ვერ ვძლებდით.

ღამით ალექსი ფეიქრიშვილმა სანოვაგე ამოგვიტანა.ისეთი ნიადვარი მოვიდა ,რომ გასანათებლად კვარების ანთება კი არა წყალმა ხალხს ფეხსაცმელებიც კი მოსტაცა. ამ დროს შეგვატყობინეს , რომ თიანეთს წასული ჩეკისტები უკან ბრუნდებიან და ჩვენ მახლობლად უნა გამოიარონ.ქაქუცამ გადაწყვიტა მათი განადგურება.ჩეკისტებმა მართლაც გამოიარეს, მაგრამ გადარჩნენ , რადგან ჯგუფად არ გამოუვლიათ და თითო ოროლა გამვლელებში მათი გამოცნობა ვერ შევძელით.

ამის შემდგომ გავათავისუფლეთ ადრე დაჭერილი თხუთმეტი ოსი და ვინაიდან ისინი ყველაფერს უამბობდნენ მთავრობას—და ასეც მოხდა— რაზმი იმ ადგილიდან აიყარა და სოფელ ახმეტთან ტყეში მდგარ ეკლესიაში დაბინავდა. ამ ადგილიდან სანოვაგისათვის სოფელში გაგზავნილი კაცი არ დაბრუნდა (სოფელი სანოვაგეს უფასოდ და სრულიად ნებაყოფლობით გვაწვდიდა ხოლმე).სანოვაგე ძლიერ შემოგვაკლდა ხალხი დამშეული იყო. მოთმინება დაკარგულმა ორმა რაზმელმა სახიფათო საქმე ჩაიდინა:თავისი ნებით წავიდნენ სანოვაგისათვის.მაგრამ სოფლის მისავალთან ოთხმოცკაციან ჩეკისტების რაზმს წააწყდნენ და ტყვედ ჩავარდნენ.

ჩეკისტთა რაზმმა საყდრის მიდამოს აღყა შემოარტყა. დაუყონებლივ სროლაც დაიწყო. საბედნიეროდ დათიკო ფარეულიძის ტყვიამ ჩეკისტთა მეთაური მოკლა , რამაც მათში არევ—დარევა შეიტანა. ჩვენ ეს მდომარეობა გამოვიყენეთ და აღყიდა ნ გავედით—ყოველგვარ ზარალის გარეშე. ახლა ტყვედჩავარდნილ ორი რაზმელის შველას უნდა შევდგომოდით. მათი დახსნა გადაწყდა, მაგრამ ცნობა მოვიდა(არასწორი)—ისინი თელავში წაიყვანესო. სინამდვილეში ერთი მათგანი დაუხვრეტიათ მეორე კი—ქარუმა ქისტი— დაბრუნდა. მისი დაბრუნება საეჭვო ჩანდა. ადვილადაც გამოირკვა , რომ ჯაშუში ყოფილა , რისთვისაც დაუყონებლივ დაიხვრიტა.

ამის შემდეგ რაზმმა ისევ ადგილი შეიცვალა.ალავერდის ჭალაში დავბინავდით. სამი დღის შემდეგ შუამთაში გადავედით,. მონასტერს იმ დროს მივაღწიეთ , როცა ბერები ცისკარსა რეკდენ. ბერებმა გულით და სიუხვით მიგვიღეს. აქ თელავიდან სანოვაგით მოვიდა ვახვახიშვილი. იქ ყოფნის დროს რაზმმა დაატუსადა და დახვრიტა, მთელი გარემო მოსახლეობისათვის მავნე კომუნისტი, რომელიც თუმცა უბრალო ტყისმცველი იყო, მაგრამ თავისი წუწკი ავკაცობით ხალხს დიდ ზარალს აყენებდა.

შუამთიდან რაზმი სოფელ შალაურის მიდამოებში გადავიდა—თელავთან. იქ ვენახებში გვქონდა ბინა. კავშირად ციხისთავი იყო.(ოცდასამ წელს მოკლეს შეტაკებისას)

აქედან სოფელ მუკუზანის თავში გადავედით სადაც სურსათს გვაწვდიდა „დათა“. უფრო გვიან სოფელ კოდალოში გადავედითსადაც ორი კვირა დავრჩით. აქ ადგილობრივ ხალხს ვამზადებდით და ვწვრთვნიდით, იქმნებოდა სამეულები, რომელთაც თავის დროს ხალხი უნდა გამოეყვანა და ხელმძღვანელობა გაეწია. აქ სურსათს გვაწვდიდა ქაქუცას სიძე ანდრონიკაშვილი.

ამ ადგილიდან კოლაკისა და ბაკურციხის მახლობლად ტყეში გადავედით. აქ გვინახულა მამა ჩემმა გიორგი ვაჩნაძემ.

რაზმი ადგილს ხშირად იცვლიდა. სოფლიდან სოფელში გადადიოდა იმ მიზნით, რომ ხალხი მოგვემზადებინა დამეთაურები შეგვერჩია. კარგა ხნის განმავლობაში ბოლშევიკებთან შეხლა არ მოგვსვლია.

ჩალაუბნის ტყეში ყოფნის დროს კავშირი გაიბა გარეკახეთთან. ვაშლოვანში ქაქუცამ მრავალი კავშირი მიიღო სხვადასხვა სოფლებიდან და მათ დირეკტივები მისცა. იმ ხანებში ვანაანის ტყეში ყოფნისას, რაზმს ძლიერ შემოაკლდა სანოვაგე.(მართალია მოსახლეობა უფასოდ და უყოყმანოდ გვაძლევდა საზრდოს მაგრამ მისი მოწოდება ყოველთვის როდი იყო ადვილი) ... ქაქუცა ხუთი კაცის თანხლებით მაჩხაანს იყო წასული. დარჩენილები კი ოთხი დღის განმავლობაში ბალახითა და მკუხე ტყემლით იკვებებოდენ. მხოლოდ მეოთხე დღეს ამოვიდა ნაცვლიშვილი და ამოიტანა პური ყველი და ბატკანი. როცა ქაქუცა დაბრუნდა სთქვა: ქიზიყს ძლიერ ავიწროებს ხალისუფლება რეპრესიული ზომები უნდა მივიღოთო. აქ შემოგვიერთდა ლადო ოზანელი.

რაზმი ყარაღაჯში(კალოების თავი) გადავიდა თამარის ციხესთან წითელწყაროს მახლობლად. გზადმავალები სოფლის ორ მილიციელს წააწყდით. იარაღი ავყარეთ და გავუშვით. ცხადია მათ ყოველივე მთავრობას უამბეს და რაზმის წინააღმდეგ ოცდათუთხმეტ კაცისაგან შემდგარი ჩეკისტების ჯგუფი წამოვიდა. ამ დროს ჩვენთან იმყოფებოდენ ტფილისიდან ჩამოსული შალიკო ფავლენიშვილი და შალვა ამირაჯიბი. ფავლენიშვილი ქაქუცას თანაშემწედ იყო დანიშნული. ამირაჯიბმა ტფილისიდან ჩამოიტანა ცნობები და თათბირის შემდეგ გადაწყდა—ფავლენიშვილი ტფილისში უნდა დაბრუნებულიყომასთან ერთად რაზმიდან არჩილ ვაჩნაძეც წავიდა. იგი ტფილისიდან დაბრუნებულ ფავლენიშვილსა და სხვა მოყვანილ ხალხს მელაანში უნდა დახვედროდა. მათი წასვლის შემდგომ მესამე დღეს ჩეკისტები თავს დაესხნენ ჩვენ მიერ უკვე მიტოვებულ საქონლის ბინას დასაშინლად ცემეს ბინის პატრონი არსენა, რადგან მას ჩვენთვის სურსათის მოწოდებას აბრალებდენ.

ყოველივე ს ეს შორიდან დაინახეს მზვერავებმა. ქაქუცამ დააპირა მათთვის გზის შეკვრა და განადგურება. მაგრამ ისინი უკან დაბრუნებისა ნაცვლად წინ წავიდნენ. ქაქუცამ სხვა ხერხი იხმარა

მათ რაზმელები მალულად დაადევნა, ნაწილმა კი გაუსწრო მათ. დილისათვის გზა შეკრული იყო. ეს ხდებოდა ოცდაორი წლის ორ მაისს. ჩასაფრების ცენტრში თვით ქაქუცა იყო შვიდი კაცით. თავში სამი იუნკერი(ჯამასპიშვილი და ორი სხვა).ბოლოში მე ვიყავი აგრეთვე შვიდი კაცით. მხოლოდ შუადღეს ჩამოიარეს ჩეკისტებმა. პირველი თოფი ქაქუცას უნდა გაესროლა. ასე დაიწყო ეს პირველი შეტაკება მტერთან. სრული გამარჯვება გვხვდა წილად.მე კი უვნებლად გადავრჩი, მაგრამ გვერდით დამიჭრეს ჩვიდმეტი წლის ახალგაზრდა ვანო ვაჩნაძე' არც ერთი რაზმელი არ მოკლულა. მტრისა ჩვიდმეტი კაცი დაიხოცა, თერთმეტი ტყვედ ჩავარდა. ერთი დაჭრილი მით გადარჩა, რომ ცხენმა გაიტაცა. ტყვეთაგან ოთხი ჩეკისტი დავხვრიტეთ, დანარჩენნი–მილიციელები–გავუშვით. მალაქია მაისურაძეს ექვსი თოფი ეკიდა –გამოგვადგებაო. დაჭრილი ვაჩნაძე წყაროსკენ წავიყვანე, სადაც ტყეში უნდა დავბანაკებულიყავით. გზაში რაზმს დაუკაგავს მალაქია მაისურაძე და ჯამასპიშვილი თურმე მალაქიას მაუზერი გავარდნია და ჯამასპიშვილი ფეხში დაჭრილა.მალაქიას დაჭრილი ამხანაგი სოფელში ჩაუყვანია და მხოლოდ მეოთხე დღეს მოგვაგნო რის ვაივაგლახითა. დაჭრილი ვაჩნაძე სოფელში გავაგზავნე სამკურნალოდ.

დაჭრილის წამყვანებმა დაბრუნებისას ამბავი ჩამოიტანეს:მთელი ტყე რუსთა ცხენოსან პოლკის მიერ არი გარშემორტყმულიო. ამგვარად მოწყვეტის გამო კვლავ შიმშილში ჩავვარდით. როგორც იყო კავშირმა სიკამ მოახერხა და პური მოგვიტანა. ტყიდან საჩქაროდ გასვლა იყო საჭირო. სალამოთი ალაზნის მიმართულებით დავიძერით– გაკრული ხაზის ფრთხილად და შეუმჩნევლად გადალახვა მოხერხდა და სოფელ ჯუგაანის მახლობლად ვენახში დავბანაკდით. აქკი კავშირებმა ადვილად შეძლეს სურსათით ჩვენი მომარაგება. რუსები სულ ახლოს იყვნენ, მაგრამ მათ ჩვენ ტყეში ვეგულებოდით. ღამით მაჩხაანის მიმართულებით წავედით, სადაც ფავლენიშვილი უნდა მოსულიყო–ტფილისიდან დაბრუნებული. ვიდრე სოფელში მივიდოდით გათენდა და იძულებულნი გავხდით პატარა ტყისათვის შეგვეფარებია თავი. იმავ ღამეს ვაშლოვანში გადავედით ხოლო იქედან ჩალაუბნის ტყეს შევეხიზნეთ.

ეს ამბავი როცა ხდებოდა, დაჭრილ ვაჩნაძეს ადგილსამყოფელი გამოუცვლიადა სხვა სოფელში ნათესავთან გადასულა, სადაც წამლის ყიდვის დროს შეუმჩნევიათ, დაუტუსაღებიათდა უწამებიათ. დაჭრილ ახალგაზრდას ყველაფერი უთქვამს–რაც კი იცოდა. ამგვარად ჩეკას გაუგია არა მარტო რამდენიმე კავშირის ვინაობა, არამედ –ფავლენიშვილისა და არჩ. ვაჩნაძის მომავალი შეხვედრის ადგილი და პირობებიც.

ჩეკამ ფავლენიშვილისა და ვაჩნაძის შესახვედრადოცდაათი–რაზმელების ყაიდაზე ჩაცმული კაცი გაგზავნა. მათ შეთქმული სიგნალიც იცოდნენ ნაწამები ახალგაზრდისაგან. არჩილი ცხენით მიდიოდა ფავლენიშვილის შესახვედრად და ჩეკისტებს წააწყდა. მას ეგონა ფავლენიშვილის კაცებიაო იგი დაატუსაღეს და სიღნაღში წაიყვანეს. პოლიციას ისიც ცოდნია, რომ ქაქუცა ჩალაუბნის ტყეში ელოდებოდა ფავლენიშვილს. ჩვენ დავინახეთ–როგორ არტყავდა ტყეს ჯარი ალყას. ქაქუცამ მაღლობისაკენ დაგვხიამან უმჯობესად ჩათვალა მტრისათვის არ გვესროლა–ამას სოფლების აოხრება მოყვებაო. უმჯობესია მტერს თვალთაგან გავეცალოთო. ამ დროს მოვიდა კავშირი სიკა და ამბავი მოიტანა– არჩილ ვაჩნაძე და კოტე ჩოლოყაშვილი დაიჭირესო. ტუსაღები შველას ითხოვდნენ ვიდრე მათ ტფილისში გადაგზავნიდნენ. გადაწყდა , რომ ისინი დაგვეხსნა. ამისათვის საჩქაროდ სოფელ კოლაკისაკენ გავწიეთ, რომ მატარებელს დავხვედროდით, მგრამ მეთვალყურე კავშირმა ცნობა დროზე ვერ მოიტანა დაარჩილ და ვანო ვაჩნაძეები , კოტე ანდრონიკაშვილიდა რამდენიმე ქიზიყელი კავშირი ტფილისში წაიყვანეს და იქ დახვრიტეს.

ფავლენიშვილი დანიშნულ დღეს ვერ წამოსულა და გადარჩა. რაზმი ერთი კვირის განმავლობაში კოპალოს ტყეში დარჩა და ჩვეულებრივად ხალხს ვრაზმავდით და ვამზადებდით. შემდეგ ტყე–ტყე სიარულით მუკუზანის თავში გადავედით.აქ სურსათის მოსატანად თვითონ რაზმელები წავიდნენ და ჩამოიტანეს. აქ ყოფნის დროს ქაქუცა შეხვდა თავის მეუღლეს, რომელიც საგანგებოდ იყო ჩამოსული–რა თქმა უნდა მალულად. იმ ხანებშივე მთელი შემადგენლობით ვესტუმრეთ დათას (ვაჩნაძეს) დაკარგა მაგრა ვიქეიფეთ. მეორე დილით ვაჩნაძიანის ბოლოში გადავედით იქიდან კი წინანდლის ტყეში–სადაც დიდი შიმშილი გადავიტანეთ. აქ ჩამოვიდა ფავლენიშვილი დიდი ბარგით და საჭირო საგნებით დატვირთული,პარტიის კომიტეტისაგან.

ამავე ხანებში ტფილისში ცუდი საქმე მოხდა.დათა ვაჩნაძე და ანდრონიკაშვილიქაქუცას მიერ ტფილისში გაიგზავნენ. იქ მათ შეუერთდა ალ. სუმბათაშვილი. მათ პარტიის კომიტეტისაგან მიიღეს ერთი ვაგონი საქონელი, რომელიც –პურზე გადაცვლის საბაბით წინანდალში უნდა ჩამოსულიყოსამწუხაროდ ორმა მათგანმა სიმთვრალეში წამოროშა ,რომ ქაქუცას რაზმელები იყვნენ დასაქონლის დანიშნულებაც. სადგურზე სამივე დაუჭერიათ და რამდენიმე ხნის შემდეგ დახვრიტეს.

წინანდლის ტყეში დგომის დროს ცნობა მოგვივიდა, რომ ორი მავნე, თავიდანმოსაშორებელი კომუნისტი უნდა მოსულიყო ცივზე(თელავის თავში მესაქონლეობის ადგილია). ქაქუცამ მათი დაჭერა კაპიტან მიხ. ნაცვლიშვილს დაავალა–თან ორი რაზმელი მისცა. კომუნისტები მართლაც მო–

ვიდნენ დანიშნულ ადგილზე და უვნებლად უკანვე დაბრუნდნენ. ნაცვლიშვილმა დავალება ვერ შეასრულა. მათ მოძრაობას ქაქუცა თვითონ ხედავდა შორიდან,მაგრამ გვიანდა იყო. ხელცარიელად დაბრუნებულმა ნაცვლიშვილმა დიდი წყრომა მიიღო ბელადისაგან.

ჩვენ კვლავ ადგილი შევიცვალეთ.ახალი ბინიდან ლელო ჩიქოვანი თელავში გაიგზავნა ფეხსაცმელებისა და სხვა საჭირო საგნების სასყიდლად.ორი დღე გავიდა მაგრამ არ დაბრუნდა.ამ ხანებში გავიგეთ , რომ სოფლელები ძლიერ უკმაყოფილონი ყოფილან იმ ორი კომუნისტის გადარჩენისა გამო —ცოცხლები როგორ გაუშვითო.და თვითონვე გადაუწყვეტიათ მათთვის მახისა დაგება.

შემოთვალეს: წინანდალში წარმოდგენას გავმართავთ კომუნისტები დაესწრებიან და ერთად შეკრებილები დაატუსაღეთო, ქაქუცამ საქმის ასრულება ფავლენიშვილს დაავალა,. თერთმეტი კაცი მისცა:მე, მიტო ხმალაძე: ბაკურაძე , ბადურა, სტეპკო ჩითინაშვილი, ლადო ოზანელი, ვასო თამაზაშვილი, მიხ. ნაცვლიშვილი, სერგო მაისურაძე და კიდევ ორი...გზაში ძლიერ ცუდი ამიდი დაგვიდგა—სავსებით დავსველდით. თანაც მე და მაისურაძემ დანარჩენები დავკარგეთ. ბოლოს მაიც ვიპოვეთ ერთმანეთი.

პირველ დღეს ვერაფერი მოხერხდა, რადგან კომუნისტები ხალხში იყვნენ არეული გაფანტულად. მეორე დღეს წარმოდგენა უნდა მოწყობილიყო, რის შემდეგაც ვახშამი გაიმართებოდა, რომელზედაც კომუნისტებიც იქნებოდნენ. ასეც მოხდა. ვახშმის დროს, დარბაზის სამივე კარის შეკვრის შემდეგ, დავატუსაღეთ რვა კომუნისტი.რვავე ტყეში იქმნენ წაყვანილი და დახვრეტილი. მხოლოდ მათში არ იყო ყველაზედ უფრო მავნე —გვარად ურგება.იგი ვახშამს არ დასწრებია. მისი სახლიდან გამოტყუება მოხერხდა, მაგრამ ნასლმა ტყვიამ მჩატე ჭრილობადა მიაყენა ხელში და ამგვარად სასჯელს გადაურჩა.

იმ ხანებში გვეწვია ქაქუცას ძმა სიკო, რომელმაც ძროხა და ყველი მოგვიტანა. აქედანრაზმი წინანდლის თავზე —ეკლესია თეთრაანში გადავიდადა ერთი კვირა დავრჩით. იქ სანოვაგე ამოიტანა ბადურას მამამ.სამოცი წლის მოხუცმა ცხენდაცხენ მთები გადმოიარა ჩვენთან მოსასვლელად—უფრო გვიან იგი დახვრიტეს.

წინანდლის მიდამოებიდან ცივ გობორზე გადავედით.იქ მეცხვარეები იმყოფებოდნენ და კარგი კვება გვქონდა. ერთი კვირის შემდეგ ცნობა მოვიდა—მდევარი მოდისო. რაზმის ადგილი და შემადგენლობაც იციანო. უნდა დავძრულიყავით. ასეც მოვიქეცით და მოშორებით ახალ ადგილას დავბანაკდით.აქედან ბელადმა სამი კაცი გაგზავნა პურის ამოსატანად და უბრძანა—იმავ საღამოს დაბრუნებულიყვნენ, რადგან იქ არა ვრჩებოდით.დაღამდა ,მაგრამ არ დაბრუნებულან. რაზმი დასაძინებლად მოლაგდა.ათ საათზე ქაქუცამ გაიღვიძა და განკარგულება მომცა :ხალხი გაღვიძე აქედან უნდა გადავინაცვლოთო.ვთხოვე —ხალხი დაღლილია ამღამ რა მოგვივა განთიადზე წავიდეთ მეთქი.განთიადამდე არა ,მაგრამ თორმეტ საათამდე დავრჩეთ რაკი ასე მთხოვო.ნახევარი საათიდა იყო გასული რომ —ახლა კატეგორიულად მიბრძანა —დაუყონებლივ აჰყარე ხალხიო.ასეც მოვიქეცით და ორიოდე კილომეტრის დაშორებით დავბანაკდით. დილით რაზმელებმა ცეცხლი აამთეს და სოკოს წვას შევუდექით. მეთვალყურედ მდგომ სიკო ჩოლოყაშვილს თოფის ხმა შემოესმა. დასათვალიერებლად და ამბის გასაგებად —გაგზავნეს მაისურაძე(სერგო) და სულხანიშვილი.მათ მოიტანეს ამბავი ორი რაზმელის სიკვდილის და ერთის დატუსაღებისა.

თურმე რა მომხდარა: პურისათვის გაგზავნილი სამი კაცი ღამით უკან ბრუნდებოდა. გზის გაუვლელობისა და ბურუსისა გამო —მხოლოდ დილით მიუღწევიათ მიტოვებულ ადგილამდე. ეს ადგილი მტერს უკვე შეკრული ჰქონია და სამ კაცს ჩასაფრებულ ხალხთან მოუხდა ბრძოლა. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილან. ხმალაძეს ჩაბარებისათვის სიკვდილი უმჯობინებია და თავი მოუკლავს. ყოფილ მილიციელ ბაკურაძეს იარაღი დაუყრია და ჩაბარებულა, მაგრამ მაინც მოუკლავთ.გადარჩა მხოლოდ ლადო ოზანელი—მით, რომ ხრამში გადახტა ბედზე არაფერი მოიტეხა და ორი კვირის შემდეგ ისევ შემოგვიერთდაყოველივე ეს ოზანელმა გვიამბო—ცხადია.

შუშუს(სულხანიშვილ) მოტანილი ამბავი მდგომარეობას არ არკვევდა. ქაქუცამ მიბრძანა წადი მიდამო დაზვერე ალყაში ხომ არა ვართ ოთხი კაციც წაიყვანეო. მაღლობზე რომ ავედით ნისლი გადავიდა და დავინახე, რომ ჩვენგან მიტოვებული ადგილი ორასიოდ ცხენოსანით დათხმოცამდე ფეხოსნით იყო გარშემორტყმული. ტყვიამრფქვევებიც ჰქონდათ.

ბელადმა წინაღამით ადგილის დატოვება—ნახული სიზმრისა გამო გადაწყვიტა.ესიზმრა რომ ლეჩაქიანი ქალი თავს დაადგა მხარზედ ხელი დაჰკრა და უთხრა: საჩქაროდ აქედან წადიო. ხოლო როცა მან ჩემი თხოვნის შედეგად , ადგილიდან აყრა გადასდო, და კვლავ დაეძინა, იგივე ქალი ისევ მოევლინა დაუფრო დაბეჯითებით უბრძანა საჩქაროდ გაეცალე აქაურობასაო. ამჯერად კი ქაქუცამ ქალს დაუჯერა და იქედან აგვყარა.

ამ ადგილებში შეტაკება არ მომხდარა, რაზმი მიდამოს გაშორდა და ხევსურულ სოფელ პანტიანში გადავიდა. აქედან ქაქუცამ ნება დამრთო ხმალაძისა და ბაკურაძის ცხედრების დასასაფლ—

ავებლად წავსულიყავ.ორი რაზმელი წავიყვანე:ბადური და კანდელაკი, ამას მეტსახელად შულმანს ვეძახდით, რადგან ხალხს ადვილად ხვრეტდა—განა სიავით ჩადიოდა ამას.შეგნებით შვრებოდა—ისეთი ჯავრი ჰქონდა მტრისა.თორემ ძალიან საყვარელი ახალგაზრდა იყო.

ჩვენთან ერთდროსვე სერგო და მალაქია მაისურაძეებიც წავიდნენ რაზმიდან—სოფელ მერში სურსათისათვის.გზაში ბადური ავად გახდა და უკან დაბრუნდა.მე და შალიკომ გზა განვაგრძეთ.დიდის გაჭირვებით მივაგნეთ ადგილს, მაგრამ ცხენდრები უკვე გადაეტანა თელავში,მთავრობას.

იქედან დაბრუნებულები გზაში მეცხვარეებმა მოგვამარაგეს სურსათით. ამ დროს შეგვხვდა ჩვენ, ტფილისიდან ჩამოსული სამან ყანჩაველი და ამგვარად სანოვაგით დატვირთულნი, სამნივე რაზმში დავბრუნდით. მაისურაძეებიც მშვიდობით მოვიდნენ უკან.

ამ ადგილებშიც შევუდექით გლეხების დარაზმვას და მომზადებას. აქედან მთელი რაზმი სოფელ აშროშანში გადავიდა.(ცივ გომბორის გაგრძელებაა) იქა ცხოვრობდა რაზმის საუკეთესო აგენტი მიტო წიკლაური, რომელიც ქაქუცას დაუფასებელ სამსახურს უწევდა.აქედან ფავლეიშვილი და ერთი ხევსური ტფილისში წავიდნენ—პარტიულ კომიტეტთან მოსალაპარაკებელ საქმეებზე.ისინი ორი კვირის შემდეგ დაბრუნდნენ—სვიმონ ყიფიანთან ერთად.ყიფიანი ერ.დემ.პარტიის მიერ იყო ქაქუცასთან მივლინებული.

წიკლაურმა გვაცნობა, რომ რუსთა ორი ესკადრონი მთაზე ამოვიდა დააქვე მახლობლად დაბანაკდენო. გადაწყდა მათი განიარაღება.თვე იყო ივლისი ოცდაორი წლისა. იმ ხანებში რაზმში ოცდახუთმეტ კაცამდე ითვლებოდა.პირველი ათეული მე მებარა. მეორე—ნაცვლიშვილს. მესამე—შტაბთან იყო. ქაქუცას პირველი თანაშემწე ფავლენიშვილი იყო. მეორე—ილარიონ იაშვილი. შტაბშივე იყვნენ ყიფიანი და თამაზაშვილი.

რუსების განიარაღება მე დამავალეს. ამისათვის ცხრა კაცით—ამათში ქაქუცას ძმაც იყო, პანტიანში უნდა წავსულიყავ და იქაური ხევსურები წამომეყვანა მშველელად. სოფელში ცხრა ხევსური შეგვემატა და ცხრამეტი კაცი მთა ცივზე წავედით რუსების განსაიარაღებლად.ოპერაცია ღამით ხდებოდა. მთაზე ჯარის ბანაკს შეუმჩნევლად მივუახლოვდით, ჯარისკაცები კარვებში იწვნენ. გუშაგმა სამი მიპარული კაცის მოახლოვება შეამჩნია დაკარავში შევარდაროცა,ყვირილით :„დაგვნებდით აღყაში ხართო“,გუშაგის განიარაღება ხდებოდა ,გუშაგს თოფი გაუვარდა. ამის გამგონე უკან მყოფმა ხევსურებმა სროლა ასტეხეს და კინაღამ არ დახოცეს თანამებრძოლები. ბედად საქმე მაინც კარგად დასრულდა , რადგან რუსები დაფრთხნენ და საცვლებისამარა გარბოდნენ საითაც კი შეეძლოთ.დასტოვეს იარაღი ტანისამოსი, სურსათი და ცხენები. ყველაფერს ჩვენ დავეპატრონეთ და ხევსურეთში გადავაგზავნეთ.ცოტათი უფრო გვიან —დილის ორ საათზე— შეტაკება მოგვიხდა ოცდაათკაციან რუსის რაზმთან. ისინიც გავაქციეთ და ნადავლი ცხენებიმთაში შევრეკეთ. იმ დღით ქაქუცას ვერ შევუერთდით, რადგან მეორე შეტაკებამ გზა შეგვაცვლევია და თანაც იმ არეულობაში ხუთი კაცი აგვცდა და უნდა დაგვეცადა , ვიდრე ერთმანეთს ვიპოვნიდით.

ეს მოხდა ოცდარვა აგვისტოს ოცდაორ წელს.

მეორე დღეს , როცა რაზმს ისევ შევუერთდით, დუშეთის მაზრისაკენ გავსწიეთ. აქ შემოგვიერთდა გვერდწითელი ცამეტი კაცით. შტაბმა გადაწყვიტა დუშეთის მაზრის გაწმენდა კომუნისტებისაგან. ამისათვის გზების შეკვრას შევუდექით. ამავე დროს ყოველ სოფელში ვადგენდით სამეულებს,რომელთაც საჭირო დროს, ხალხი უნდა გამოეყვანათ. ყოველივე ეს, აჯანყებისათვის მზადების წინასწარი ზომები იყო. (ბაზა ახატანის თავი იყო)— ამ ადგილიდან ტინის ტყეში გადავედით. აქაც გზაში შევკარით და ხელთ ჩაგვივარდა მილიციის უფროსი მილიციელებიანად, მაგრამ გავუშვით. მხოლოდ მავნე კომუნისტი ჯურჯულია , რომელსაც ვეძებდით და ვერსად შევხვდით გადაგვირჩა.

ამ ხნის განმავლობაში მთავრობამ ძალები შეკრიბა და მდევარი დაგვადევნა. ამიტომ ისევ ახატანის თავში გადავედით. . ამ მოძრაობის დროს ხელში ჩაგვივარდა, გეპეუს წარმომადგენელი—დიდ უფლებამინიჭებული კომუნისტი(ხვრეტის განაჩენი გამოჰქონდა)— იგი ადგილზევე დაიხვრიტა მისი მხლებელი ჯარისკაცი კი გავუშვით. იმავ მიდამოში დატუსაღებულ იქმნა მოხუცი არაკომუნისტი კომისარი და განთავისუფლებულ იქმნა.

ეს ადგილებიც დავტოვეთ და ხევსურეთის მიმართულება ავიღეთ. ჟინვალის ახლოს დღისით გავიარეთ და კომისარს მაღლა უცნობებია: ქაქუცამ გაიარა სამოცი კაციანთაო. რაზმი ჟინვალის მახლობლად დაბანაკდა. მეორე დღეს ხალხმა დაისვენა—საბანაოდ სათევზაოდ ხილის საძებრად გაიფანტნენ. ქაქუცა რესტორანში სადილობდა. ყარაულმა სროლა ატეხა—ქაქუცას ალყას არტყამენო. ალყა არ იყო , მაგრამ იყო სამი ცხენოსანი, რომელთა შორის ჰურღულიაც ყოფილა, მაგრამ კომუნისტები ჩამოქვეითდნენ და სადღაც გაქრნენ. ასე რომ ჰურღულია მესამედ გადარჩა. დიდხანს არ გაუვლია და ტყვიამფრქვევის კაკანიც მოისმა,მაგრამ არავინ ჩანდა.ქაქუცამ დაზვერვა მე დამავალა. მთაზე ავედი და დავინახე , რომ საკმაოდ დიდი ძალები(შემდეგ გავიგეთ—ორასამოცი ფეხოსანი და ცხენოსანი იყო გეგეჭკორის მეთაურობით)საალყოდ იშლებოდნენ. რაზმი აიყარა და ფშავში გადავედით. —სოფელ მაღაროსკარში. მტერთან შეტაკება არ მომხდარა.

სოფელში არაგვი ჩამოდის. არის ერთი სკოლა ქვის გალავანშემოვლებული და იმ ეზოში შენობის უკან ერთი პატარა სამლოცველო. მეორე დღეს რაზმელები სათევზაოდ და ხილის საკრეფად დაიშალნენ, ხოლო როცა სადილისათვის კვლავ შეიკრიბნენ, მტერი სოფელს უახლოვდებოდა.მტრის ძალებმა სწორედ სკოლის გალავანს უკან ამოფარებულებმა დაიკავეს პოზიცია. დაიწყო ძლიერი სროლა. ერთი მხრით სამასოცი კაცი ხოლო ჩვენი მხრიდან სამოცი. ბელადმა თავისი ძალები სასწრაფოდ გაანაწილა. ხუთი კაცი გალავანში გადაძვრა და მის უკან ამოფარებულ მტერს, ათ ნაბიჯზე მიუახლოვდა. რაზმის უმრავლესობა კი მტრის პირისპირ განლაგდა. მე და სერგო(მაისურაძე) მტრის ზურგში მოსავლელსდ წაველით.(მცირე ხევიდან ბილიკები ამოდიოდა)და გზაში თორმეტ ჩეკისტს წავაწყდით.მათ ერთი სომეხი კომისარი მეთაურობდა.მას თურმე ნათქვამი ჰქონია:ვიდრე ტფილისიდან წამოვიდოდა„ქაქუცას თავს ჩამოვიტანო". ქაქუცასი კი არა თავისიც ვერ ჩაიტანა. მისი რაზმიც დავამარცხეთ და თითონაც მოკვდა. ამის შემდეგ მტერს ზურგიდან სროლა ავუტეხეთ. ვისროდით იმდენად ჩქარჩქარა რამდენადაც კი შეგვეძლო.თითოეულმა ორასამდე ტყვია გაისროლა. ეს ბრძოლა საერთოდ— თითქმის რვა საათამდე გაგრძელდა. მტერმა სასტიკი დამარცხება იგემა.დაეხოცათ ასამდე კაცი დანარჩენებმა თავს უშველეს.ტყვედ ჩავიგდეთ ხუთმეტი ჩეკისტი, რომელნიც უკლებლივ დაიხვრიტნენ.ჩვენი მხრივ დაიკრა ორი მებრძოლი.

ამ ბრძოლის დროს ქაქუცა ტიფით იყო დაავადებული და ორმოცი გრადუსი სიცხე ჰქონდა, მაგრამ ბრძოლის დაწყებიდან მის ბოლომდა თითონ უხელმძღვანელა.

ამ ბრძოლის შემდეგ ხევსურეთისაკენ დავიძარით.თეთრისა და შავ არაგვთა შესართავთან ერთი მთა არის, რომელსაც სახელად ორწყალი ეწოდება.ეს ადგილი ხევსურეთში შესასვლელი კარიადა ვერც ერთი ხევსურეთში მიმავალი მგზავრი ამ გასასვლელს ვერ აცდება. ვიდრე ჩვენ ხევსურეთისაკენ დავიძრებოდით.,ცნობა მივიღეთ, რომ თიანეთის მხრიდან ოთხმოცი კაცისაგან შემდგარი რაზმი წამოსულაჩვენი მიმართულებით.თუ მტერი ორწყალს ჩვენზე ადრე დაიპერდა, ძნელ მდგომარეობაში ჩავვარდებოდით.ამიტომ ბელადმა მიბრძანა ხუთი კაცი წამეყვანა, მტრისათვის მიმესწრო და ორწყალი დამეპირა.ეს დავალება შევასრულეთ და ოთხმოც კაციანი მტრის რაზმი ტყვედ ჩავარდა.ამ ორწყალობითჩვენები უვნებლად შევიდნენ ხევსურეთში,სადაც ქაქუცა დიდის ზეიმით მიიღეს. შვადღის შემდეგ მეც მათ შევუერთდი.რაზმი სოფელ ბარისახოში დაბინავდა.

ამ ხანებში, ფავლენიშვილი და ლოსაბერიძე გუდამაყარში გაიგზავნენ.ისინი იქედან დუშეთში უნდა გადასულიყვნენ და როცა აჯანყება დაიწყებოდა, დუშეთში დაგროვებულ ძალების მეშვეობით, ხევსურეთისაკენ შემტევ მტრის ჯარისათვის ზურგში უნდა დაერტყათ.

ავადმყოფი ქაქუცა ხევისბერის სახლში იწვა დაიქედან ხელმძღვანელობდა მომავალოპერაციების სამზადისს.

აქ წყდება ელიზბარის ნაამბობი.

აპრილის დემონსტრაციის გაკვეთილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთში მყოფმა ქართველობამ გულისძგერით და სიხარულთან ერთად შიშნარევი გრძნობით მიიღო, მსოფლიო პრესაში გამოქვეყნებული ცნობა ტფილისში აპრილში მომხდარ დემონსტრაციის შესახებ. ახლა უფრო დამშვიდებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, ამ მოვლენის რაობასა და მნიშვნელობაზე.

დიდი ხანია, რაც ასეთს ყოველმხრივ დადებითს ცნობას სიამე და კმაყოფილება არ ჩაუწვეთებია ბოლმით სავსე იმ ფიალაში, რომელსაცა ვსვამთ.

უცხოეთში ხანდახან ჩამოსულ ქართველთა მეშვეობით, კანტიკუნტად მოღწეულ სხვადასხვა ამბებით, ქართულ ლიტერატურის ძნელად შესამჩნევ მაგრამ მაინც დასანახად შესაძლებელ , პატრიოტულ ტენდენციაზე დაყრდნობით და ბოლოს ბუნებრივი ვარაუდითაც, შეგვეძლო გვეფიქრა– და ვფიქრობდით კიდევაც– რომ ჩვენს ქვეყანაში ხალხის გულში პატრიოტული ცეცხლი ღვივოდა. მაგრამ იმგვარ რეჟიმში სადაც საზოგადოებრივი აზრის მოსინჯვის არავითარი საშუალება არ არსებობს, ურყევი საბუთი არ ჩანდა, რომ მხურვალე პატრიოტები: გამსახურდია, კოსტავა, რცხილაძე, სამხარაძე, ფოილოძე და სხვანი გამონაკლისს არ წარმოადგენდნენ –რომ ხალხი, ქვეყანა : მათსავით ფიქრობდა. აი ეს საბუთი მოგვცა აპრილის დემონსტრაციამ.

ილუზიები არ უნდა ვიქონიოთ– დემონსტრაციის უშუალო პრაქტიკულ მნიშვნელობაზე. კონსტიტუციის ერთი მუხლი ვერ შეცვლის რეალურ მდგომარეობას, მაგრამ ამ მუხლის გარშემო ბრძოლის გადახდა აღნიშნავს იმ ზღვარს, რომლის იქითაც მორჩილების არეს გავრცელებაზე ქვეყანამ უარი სთქვა. ამ აქტით ხაზგასმულია ქვეყნის გადაწყვეტილება ეროვნულ მეობის შენარჩუნებისა, ხოლო ამ მეობის სიმბოლოდ სრულიად ბუნებრივად ენაა გამოცხადებული.

რამდენად უფრო ჯანსაღია ასეთი სულისკვეთება იმ განწყობილებასთან შედარებით, რომელიც ჩვენში რევოლუციის ხანაში იყო გამეფებული და რამაც დაგვღუპა. სახელდობრ: ხალხის და ერის ინტერესების გადატანა და დაყრდნობა ყალბ უსაფუძვლო პრინციპებზე , ხოლო უპირველესის უგულველყოფა და მისი დაყენება უკანასკნელ ადგილზე. აი ამ მხრივ შეგვიძლია გულმშვიდად ვიყოთ. დღევანდელ საქართველოს ღირსეული პატრიოტები ეზრდება და უპასუხისმგებლო ცრუმოძღვრები მას ვერ გაიყოლებენ უდსკლულში გადასაჩეხად. ამგვარი გამოჯანსაღების საბუთიც იყო საჭირო და იგიც მოგვცა ამ დემონსტრაციამ.

სხვა საგანიც არის ხაზგასასმელი: ეს მოქმედება, ყველა ნიშნებით, წარმოადგენს მაგალითს გონიერ ანგარიშით მიღებულ გადაწყვეტილების აქტად ქცევისას. ნიშანდობლივია, რომ დემონსტრაციის მომწყობნი ერთი განსაზღვრული მოთხოვნილებით შემოფარგლულან და თვითონვე მიუღიათ ზომები , რომ შეუძლებელის მოთხოვნით, შესაძლებელიც არ გაეშვათ ხელიდან. ზოგს მოუნდომებია, რომ გამსახურდიას და კოსტავას განთავისუფლების მომთხოვნი პლაკატებიც ეტარებინათ, მაგრამ, როგორც ამბობენ, თვით დემონსტრანტებმა დაუშალესო. და ესეც სწორი ანგარიში იყო. რადგან ამგვარი დემონსტრაციის მოწყობის ფაქტი, რომელიც მართალია ფორმალურად კონსტიტუციის ერთი უკვე არსებული მუხლის შენარჩუნებას მოითხოვდა და სხვა არაფერსუკვე იმით იყო უმნიშვნელოვანესი, რომ იგი ჯერ არმომხდარ პრეცედენტს წარმოადგენდა–ხალხის ანუ დემოკრატიის მიერ, მთავრობისა და პარტიისაგან დამოუკიდებლად გამოთქმულ სურვილის აშკარად გამოვლენისას. ხოლო რომ ეს მოქმედება პატრიოტული გრძნობის ხმას წარმოადგენდა, და არაპირდაპირად გამსახურდიას და კოსტავასაც ექომაგებოდა.ხომ არავისთვის საიდუმლო არ იყო. კიდევ მეტი: მათთვის გამოტანილი შედარებით ლმობიერი განაჩენი, იქნებ სწორედ ამ დემონსტრაციასთან იყოს კავშირში.

კიდევ სხვა რამის მაჩვენებელიც არის ეს მოვლენა: ჩვენში გაბატონებულ რეჟიმის ხასიათს თუ მხედველობაში მივიღებთ., ყოველად წარმოუდგენელია, რომ მომხდარი ამბის მომზადება პოლიციის თვალყურს გამოპარვოდა. მაშასადამე საქართველოს ადგილობრივ ხელისუფლებას იგი შეუწყნარებია.ეს უბრალო რამ არ არის.

ჩვენი ისტორიისთვის უცნობი არ არის , დღეს ჩვენში გავრცელებული უმორალობა–დამპყრობელისადმი მეტი ერთგულების გამოჩენით, პირადი დაწინაურების ძებნაში რომ გამოიხატება. ეტყობა ქართველ კომუნისტთა ახალ თაობაში საკმარისად მრავალრიცხოვანი და გავლენიანი წრე არსებობს, რომლისთვისაც ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს ნამდვილი ღირებულება აქვს. ეტყობა ბევრმა კომუნისტმა გაიგო, რომ პატრიოტიზმი მარტო სიტყვა არ არის– სუფრასთან წარმოსათქმელი. და– რომ არსებობს ზღარი, რომლის იქეთაც დახევა არ შეიძლება– თუნდაც ასეთი საქციელი საშინელ რისკს წარმოადგენდეს. ამ დემონსტრაციამ არა მხოლოდ ქართველი ხალხის და ინტელიგენციის ეროვნულად განწყობის ხარისხს მოჰფინა შუქი, არამედ ხალხისა და ინტელიგენციის იმ ნაწილის განწყობილებაც გამოააშკარავა, რომელიც პარტიაში ირიცხება. ამასაც ვვარაუდობდით და ვიმედობდით. ახლა შეგვიძლია ამ საკითხზე გარკვეული შეხედულება გვქონდეს. და ეს ფრიად მნიშვნელოვანია, რადგან თუ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ასე თუ ისე, დღე მოვა

როდესაც ქართველებს შეეძლებათ თავისთავს უპატრონონ, იმაშიაც უნდა ვიყვნეთ დარწმუნებული, რომ ამ დღისათვის ის ქართველებიც მზად იქნებიან, რომელნიც დღევანდელ ხელისუფლების საყრდენ კადრს წარმოადგენენ. ეს კადრი უმთავრესად პარტიულთაგან შესდგება ხოლო დღევანდელი წევრობა პარტიისა, დიდად განსხვავდება გასაბჭოების პირველი წლების მდგომარეობისაგან. მაშინ ეს მოღალატეობა იყო ახლა–აუცილებელი პირობაა ქვეყნის საქმეებში მონაწილეობის მიღებისათვის. (გავიხსენოთ: ქართველ მეფეებს მაჰმადიანობა რომ არ მიეღოთ, სპარსელებს დაგვიყენებდა შაჰი მეფეებად).

ქართული ინტელიგენციის კომუნისტური ნაწილის, ეროვნულ საქმისათვის მზადყოფნის ნიშნებს ატარებს აპრილის აქტი და ეს უაღრესად იმედისმომცემია.

შეიძლება თუ არა რაიმე ითქვას ამ დემონსტრაციის მნიშვნელობაზე კავშირის მაშტაბით?

ქართველები თავიანთი თვისებების საერთო ჯამის შედეგად სუსტი პოლიტიკოსები არიან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს,მ რომ ჩვენს თვისებათა შორის ისეთიც არ მოგვეპოვება, რომლის არქონა დიდი დანაკლისია.საკითხს თუ ასე მივუდგებით, ჩვენს დიდ მეზობელს, რომელსაც ჩვენ დიდ მასწავლებლადაც მოაქვს თავი, შეეძლო ჩვენგან ისეთი რამ ესწავლა და შეეძინა, რაც მას ძლიერ აკლია. რუსებს შეეძლოთ ქართული მაგალითი დან დაენახათ, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სავალდებულო და აუცილებელი არ არის, რომ ხალხმა თავისი მოთხოვნილება უსათუოდ „ბუნტისა“ და „პოგრომის“ სახით გამოთქვას. და –რომ ხელისუფლებასაც არაფერი დაუშავდება, თუ ხალხის მოთხოვნას მათრახით, ტყვიით და დატუსაღებით არ გაუმასპინძლდება.

ამ გაკვეთილის მიღება რომ რუსეთს შეეძლოს, რამდენს მოიგებდა რუსი ხალხი, რომელიც არა მარტო ჩვენ გვაუბედურებს, არამედ თავის თავსაც ისჯის და ყოველ ხალხისათვის, ვინც კი მას უშუალოდ გაეცნო სიძულვილის საგნად გაიხადა თავი.

ტფილისის მნახველმა არაერთმა უცხო ჟურნალისტმა აღნიშნა ქალაქის ქუჩის თავისებური, კავშირის სხვა ქალაქთაგან განსხვავებული იერი, რომელსაც მათ „ლათინური“–უწოდეს. ერთი მათგანი ამის ახსნასაც კი შეეცადა და სწერდა: ალბათ ეს იმის ბრალია, რომ ოდესღაც აქ რომაელები იყვნენო. ცხადია ამის მიზეზი უფრო ღრმა და უფრო რთულია, ვიდრე ორიათასი წლის წინანდელი ორიოდე რომაული ლეგიონის კავკასიაში ყოფნა შეიძლება იყოს.ის მოვლენა, რომ ევროპელები ჩვენში რაღაც „ლათინურს“ ხედავენ, თავის საწყისებს კოლხეთსა და იბერიაში რომაელთა მოსვლაზე უფრო ადრეულ ხანიდან იღებს. „ლათინობა“ ხომ დღევანდელ ევროპისათვის, რომაელთა მიერ შეძენილი და რომაულ კანონთა ჩარჩოში ჩასმული ელინიზმის სხვათათვის გადაცემაა, რომელიც ჯერ ლეგიონებს მოჰქონდა ვით იძულება ხოლო როცა ლეგიონები გაჰქრნენ, რომაულად გადახარშული ელინიზმი ხალხებმა თვითოეულმა თავისებურად მიიღეს და ადგილობრივი სახეობა მისცეს მას.

ქართველები რომაელთაგან დამოუკიდებლად ეზიარნენ ელინიზმს. საქართველოს ელინიზირების მაჩვენებელი არქეოლოგიური მონაცემები რომაელთა მოსვლაზე უადრეს ხანას ეკუთვნის. მაგრამ ქართული კულტურა იმავე ფესვებიდანაა აღმოცენებული, საიდანაც აღმოცენდა ჯერ თვით ელინიზმი და შემდეგ რომაელთა მეშვეობით –ლათინური ცივილიზაცია. ამაზე აქ ვრცლად ვერ ვისაუბრებთ.მხოლოდ ისიც გავიხსენოთ, რომ ქართველები არა მხოლოდ ნაზიარები, არამედ ნაწილობრივად შექმნაშიც მონაწილენი არიან ბიზანტიურ–ქრისტიანულ კულტურისა. და თუ ამას ქართული რასისა და ხმელთაშუა ზღვის ხალხთა რასის ნათესაობასაც დავუმატებთ, სრულიად ბუნებრივია, რომ მოსკოველ მოქალაქეთა მოღუშულ სახეთა შემდეგ, ტფილისელების მხიარული თავაზიანობა და ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებაში ღიმილისათვის დათმობილი დიდი ადგილი, გაკვირვებულ უცხოელს ლათინურ ატმოსფეროს მოაგონებს.

სულ სხვაა რუსული კულტურის ძირები. სლავები აღმოსავლეთიდან დაძრულ ინდოგერმანულ ხალხთა უკანასკნელ ტალღას წარმოადგენენ და საკუთრივ რუსები ყველა სხვა სლავურ ტომთა ბოლოს მოსული ტომია. ათასეული წლები ჰყოფს პირველთა გამოჩენას, უკანასკნელთა გამოჩენის ხანიდან. პირველ ინდოგერმანელთა, მცირეაზიული, ელინური, რომაული და კელტური ცივილიზაციები რუსებს არაფერს ... –არც რამე გაუგონიათ მათი. რუსებს ქრისტიანული ცივილიზაცია დახვდადა დასავლეთური კულტურისა და ტექნოლოგიის პირველი ნაყოფი მზამზარეულად მიიღეს–როგორც მათთვის სრულიად უცხო და მოულოდნელი რამ–მსგავსად იმისა, როგორც აფრიკის შავკანიანები ღებულობენ დღეს სწავლას პოლიტიკურ ეკონომიისას თვითმფრინავებთან ერთად.ამას ზედ ერთვის ის, რომ რუსულ საზოგადოებრივ და ადმინისტრატიულ ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში, მონგოლურ–თურქულმა (თათრულმა) ელემენტებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს. აი რა უფსკრული ჰყოფს რუსეთს დასავლეთურ კულტურისაგან.

ის ფაქტი, რომ რუსმა ერმა დიდი კულტურა შეიძინა, უმდიდრესი ლიტერატურა აქვს და მეცნიერულ–ტექნოლოგიურადაც ქვეყნად უპირველესთაგანია, მას მაინც უნარს არ აძლევს ცხოვრების დასავლეთურ ყაიდაზე მოწყობისას.დასავლეთი რუსებისათვის სულიერად უცხოა. კიდევ მეტი რუსეთს სძულს ევროპა და ყოველივე ევროპული. როგორც შავკანიანს–თეთრი; მდაბიოს– არისტოკრატი; მახინჯს– ლამაზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსებმა ყველაფერი გადმოიღეს ევროპიდან, მაგრამ მხოლოდ—გარეგნულად. ხოლო ევროპული გაგებები როგორიცაა: შემწყნარებლობა, მონაწილეობა, თანამშრომლობა, ზომიერება, ურთიერთგაგება და შიშის ნაცვლად—შეგნებული მორჩილება, მათთვის გაუგებარი და მიუწვდომელი დარჩა.

ყოველივე ამისა გამო ძნელად წარმოსადგენია, რომ ჩვენმა „ლათინურობამ" ისინი მოხიბლოს. ამას თუნდ ისიც შეუშლის ხელს, რომ უპირატესობის(სუპერიორიტე) კომპლექსით შეპყრობილი რუსები, ამავე დროს ფარულად, კნინობით კომპლექსსაც ატარებენ და როგორ „იკადრებენ" მათი „ქვეშევრდომთაგან" რამე ისწავლონ. მაგრამ სრულიად გამორიცხული არ უნდა იყოს შესაძლებლობა, რომ წაბაძვის ფენომენმა თავი მაინც იჩინოს—განსაკუთრებით არარუს რესპუბლიკებში და ტფილისის მაგალითი საბჭოთა კავშირის სხვა დიდ ქალაქებშიც გამეორდეს—ცხადია ადგილობრივ პირობებთან შეგუებით და ადგილობრივ შეზღუდულ საჭიროებათა დაკმაყოფილების მოთხოვნით. უფრო მეტზე ოცნებაც ზედმეტია. მაგრამ ეს შესაძლებლად მიჩნეულიც თუ მოხდა, მაინც დიდი ცვლილებების დასაწყისის მაჩვენებელი იქნება.

მიხეილ ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე.

დაძმობილება ქალაქებისა: ნ ა ნ ტ ი — ს ა ა რ ბ რ ი უ კ ე ნ — ტ ფ ი ლ ი ს ი.

ამა წლის ოცდაერთ სექტემბერს გაზეთ „საარბრიუკერ ცაიტუნგ"ში გამოქვეყნდა სურათები და ცნობები, თუ რა ვითარებაში მოხდა ქალაქ საარბრიუკენის, ტფილისის ძმობილი ქალაქის ერთი მოედნის მონათვლა „ტბილისკაია პლოშჩად"ად.

გაზეთი წერს: როცა საარბრიუკენის ბურგომისტრმა ლაფონტენმა და ტფილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ბახვა ლობჟანიძემ ნელა მოხსნეს საქართველოს დროშაბრას რომელსაც ეწერა „ტბილისერ პლატც" „ტბილისკაია პლოშჩად", ქალაქის კაპელამ იმღერა ქართული ხალხური სიმღერა „სულიკო". ამ დღიდან წინანდელ „თეატრერ პლატც"ს ეწოდება „ტბილისერ პლატც"იო. ცერემონიას დაესწრნენ ქალაქის ოფიციალური პირები და მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი. საქართველოს მხრიდან— ბახვა ლობჟანიძე, მიხეილ სულაძე, თამაზ ჭილაძე და ვალერი ხინთბა.ბახვა ლობჟანიძემ განაცხადა, რომ მალე ტფილისის ერთ—ერთ ქუჩასაც მიეცემა საარბრიუკენის სახელწოდება— როგორც ამ ქალაქთა დაძმობილების სიმბოლო.

რა გვეთქმის ასეთი უდავოდ კეთილშობილი ნაბიჯის შესახებ. მაგრამ აქაც სამწუხაროდ, მოსკოვის უმსგავსო ჩარევამ იჩინა თავი. დაძმობილება ხომ ტფილისსა და საარბრიუკენს შორისგაიბა, ამიტომ წესიერება მოითხოვდა—მოედანზე გერმანულად და ქართულად ყოფილიყო წარწერა და არა გერმანულ—რუსულად.ვამბობთ—მოსკოვის უმსგავსო ჩარევა, რადგან ვერ წარმოგვიდგენია ქართველთა ინიციატივით მომხდარიყოს ამგვარი რამ.

ოცდაორი აგვისტოს „კომუნისტშიც" მოთავსებულია ვინმე გრიგორიევის წერილი „ტფილისის მოედანი საარბრიუკენში".ამ წერილიდან არ ჩანს რომ წარწერა რუსულადაა.

აგვისტოს აჯანყების დღის აღნიშნვა.

ჩვიდმეტ სექტემბერს ლევილის ქართულ მამულში გაიმართააგვისტოს აჯანყების მსხვერპლთა მოსაგონარი ტრადიციული ნადიმი. მამა ილიამ კვირის წირვა პარიზის ნაცვლად ლევილის ფრანგულ ეკლესიაში გადაიხადა. წირვის შემდეგ სასაფლაოზე გადახდილიქმნა საერთო პანაშვიდი.

ნადიმს დიდძალი ხალხი დაესწრო— იმიტომაც რომ მშვენიერი ამიდი შეხვდა..ბატონ ვ. ხომერიკის, ლ. ფაღავას და პ. ინწკრიველის სიტყვათა გარდა უნდა აღინიშნოსსომეხი სტუდენტის ჯემალიანის სიტყვა. ბატონმა ჯემალიანმა თავის სიტყვაში ნამდვილი პროგრამა ჩამოაყალიბა ქართულ—სომხურ ურთიერთდამოკიდებულებისა, რომლის გატარებაც მისი აზრით, აუცილებელია ჩვენი საერთო ბედის უკეთესად მიმართვისათვისო. მან აღნიშნა ორივე ერის მიერ წარსულში ჩადენილი შეცდომები—რაც მისი აზრით, საქმისადმი ეგოისტურ მიდგომაში გამოიხატებოდა.და თავისი შეხედულება გამოხატა ფორმულით: ყოველი კარგი სომეხი კარგი ქართველიც უნდა იყოს და კარგი ქართველი—კარგი სომეხი უნდა იყოსო. ღმერთმა ქმნას და ქართულ—სომხური ურთიერთობა ამ სურვილით გამსჭვალულიყოს.

გ ვ თ ხ ო ვ ე ნ გ ა მ ო ვ ა ც ხ ა დ ო თ.

შესდგა კომისია, რომელსაც განზრახული აქვს უკანასკნელ მსოფლიო ომში, საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაცემულთა მოსაგონარ ძეგლის აგება —ლევილის სასაფლაოზე. ვისაც სურს თავისი წვლილი გაიღოს გთხოვთ შემოწირულება შემდეგი მისამართით გამოგზავნოთ.

G. VATCHNADZE 6 SQUARE DE ALBONI PARIS 16

ჟურნალი „კავკასიონი“

გამოვიდა ჟურნალ კავკასიონის მეცხრამეტე ნომერი. ამ ჟურნალის გამოცემის განახლება კარგი და საჭირო საქმეა, როგორც— ქართულ ემიგრაციის გონებრივი და გრძნობითი ცხოვრების ამსახველ დოკუმენტისა.

ამ მიღწევას უპირველესად უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი პოეტის გიორგი ყიფიანის ამაგს. მან გაბედა ამ საქმის განახლების წამოწყება და გიორგი ნოზაძის თვალყურის ქვეშ, მოახერხა და შესძლო რედაქტორობა მთლიანად დამაკმაყოფილებელ ნომრისა. მაგრამ მხოლოდ ამით არ განისაზღვრება ყიფიანის დამსახურება. ამ საქმის წარმატება რომ უზრუნველეყო, მან ილია თაყაიშვილისაგან შეისწავლა ლინოტიპზე მუშაობა და სწავლის განმავლობაში მის მიერ აწყობილ ჟურნალის თითქმის ნახევარში, არავითარი გასამრჯელო არ აუღია.

მადლობა ეკუთვნის აგრეთვე ჟურნალის გამომცემელს ა. შავგულიძეს, რომელიც გამოცემის დეფიციტს(რაც ხარჯის ნახევარს შეადგენს)თითონვე ფარავს.

ჟურნალი საკმაოდ მრავალფეროვანი შინაარსისაა. პოეზია, პროზა, მემუარები, დოკუმენტები, კვლევა, კრიტიკა და სხვა. საუბედუროდ ამ მასალის საგრძნობი ნაწილის ავტორები გარდაცვლილები არიან. ეს კი იმას მოასწავებს, რომ ამგვარი ფონდი რომელიც არ ახლდება, მალე ამოიწურება. იმედია ცოცხლად დარჩენილებს საკმარისი მხნეობა აღმოაჩნდებათ, რომ მაინც არ ჩააქრონ ლამპარი. და ეს იმიტომ არის სასურველი, რომ ამ ჟურნალის დანიშნულება და „ფასი“ მხოლოდ მისი ლიტერატურულ—სტილისტური დონეს სიმაღლით როდი განისაზღვრება. თავისთავად ცხადია—ემიგრაციაში მყოფი არაპროფესიული მწერლები ქართულ ლიტერატურას დიდს ვერას შემატებენ. ამ ჟურნალში მოთავსებული მასალა ისე უნდა განვიხილოთ, როგორც მაგალითად—ვახტანგისა და თეიმურაზის დროინდელ მოსკოველ და ასტრახანელ ქართველებს შორის არა ბრწყინვალე ქართველებსაც თავიანთი ნაწერები რომ დაეტოვებიათ.

მცირე განმარტება.

ჟურნალ კავკასიონის მეცხრამეტე ნომერში, მ. ქ. ინიციალებით ხელმოწერილ პროფესორ დიუმეზილისადმი მიძღვნილ მილოცვაში ტექსტის ერთი ადგილი შეცვლილი სახით არის დაბეჭდილი.

მეთოთხმეტე სტრიქონის დასაწყის სიტყვებს:„ ჩვენ ვიცნობთ“ , მოსდევდა: „ხოლო ნაცნობობა ხომ მეგობრობის პირველი საფეხურია“.

ხოლო გამოთქმა:„განსაკუთრებით ბედი ქართლისაშიმოთავსებულ ნაშრომებიდან, სადაც ის დიდი ხანია თანამშრომლობს“, ტექსტის დედანში არ ყოფილა. სხვა ადგილას იყო დამოუკიდებელი ფრაზა: „ საქართველოს შესახებ დიუმეზილის ზოგიერთ წერილს, ჩვენი მკითხველები ბედი ქართლისას ფურცლებიდანაც იცნობენ. “

ამ შესწორების გამოქვეყნება ავტორმა იმიტომ ჩათვალა საჭიროდ, რომ წერილის თავში ნათქვამია: კავკასიონის და საერთოდ ქართველების სახელით ვულოცავთო. ამ „საერთოდ ქართველთა “ შორის ითვლებიან დიუმეზილის კოლეგები—ჩვენი მეცნიერებიც და როგორ შეეძლო წერილის ავტორს იმათი სახელითაც ეთქვა: განსაკუთრებით ბედი ქართლისას მეშვეობით გიცნობთო. არც სიტყვა: „ნაშრომების“ ხმარება შეეძლო რამდენიმე წერილის აღსანიშნავად.დიუმეზილის სახელი და შეხედულება ციტირებულია საქართველოში დაბეჭდილ მრავალ წიგნსა თუ წერილში. მის სახელს ქართულ ენციკლოპედიაშიც კი შეხვდებით (იხილე: ბასკური ენა).

შემოწირულება ჟურნალისათვის.

(ფრანგული ფრანკები)

შალვა კალანდაძე:ექვსასი / რაფიელ ჯაში : სამასი /ნიუიორკის ქართველები:ოთხასორმოცი / პეტრე ხვედელიძე : ორასოცი / გივი გაბლიანი : ასათი / დავით ვაშაძე: ასი
აკაკი ბარკალაია : ასი /თამარხან ანთაძე :ასი.

უღრმესი მადლობა „ ი ვ ე რ ი ა “ ს რედაქციისაგან.

ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო .

მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას შემდეგ პირთა გარდაცვალებას და თანაგრძნობას ვუ-ცხადებთ გარდაცვლილთა ჭირისუფლებსა და მეგობრებს. ლევილის სასაფლაოზე დაიკრძალნენ: ვიქტორ შუბლაძე ; ვალია ჯიბლაძე ; გიორგი შანშიაშვილი; სიმონ აბაშიძე; დიმიტრი ალავიძე. ანტიბში დაიკრძალა სიმონ მიქელაძე ; პარიზში ბანიოს სასაფლაოზე დაიკრძალა ლენა მელიქიშ-ვილი ; ლონდონში დაიკრძალა გივი მამულაიშვილი.

ჩვენი ჟურნალის რედაქცია უღრმესი თანაგრძნობით მიმართავს ჩვენს კოლეგასგულნარა პატა-რიძე ურატაძისას მისი მეუღლის დ ა ვ ი თ ი ს დაკარგვის გამო . დაიკრძალა ლევილში.

ჩვენი უღრმესი თანაგრძნობა მეგობარს და თანამოაზრეს ირაკლი მჭედლიშვილს მისი მეუღლის მარსელის დაკარგვის გამო. დაკრძალულია მონპელიეში.

ნ ო ე ც ი ნ ც ა ძ ე .

ოცდაცხრა სექტემბერს ლევილის სასაფლაოზე დაიკრძალა ოთხმოცდაათი წლის ასაკში გარდ-აცვლილი ნოე ცინცაძე. განსვენებული, განათლებით ფიზიკოს-მათემატიკოსი იყო. დამოუკიდებლ-ობის ხანაში მას განათლების მინისტრის თანაშემწის თანამდებობა ჰქონდა. ახალგაზრდა სემინარ-ისტობის დროიდან სოციალისტურ მიძრაობაში ჩაბმულმა, მან თავის თანამოაზრეთა მსგავსი ცხო-ვრება განვლო.

ემიგრაციაში ნოე ცინცაძე *1922* წლის დასაწყისში მოხვდა-გერმანიაში გადასახლებ-ულ სამოც კაციან ჯგუფთან ერთად. რამდენიმე ათეულ წლის განმავლობაში იგი განცალკევებით იდგა მთავრობის წრეების პოლიტიკურ მუშაობისაგან. ნოე ცინცაძე უფრო წერეთლის ჯგუფთან იყო დაკავშირებული. ემიგრაციის საკუთრივ ქართულ პოლიტიკურ საქმიანობაში მისი აქტიური ჩარევა ეგრედწოდებულ „პარიზის ბლოკის" დაარსებიდან იწყება. იგი ფრიად მნიშვნეოვან როლს თამაშ-ობდა „რადიო თავისუფლების" საქმიანობაშიდა ამ დროიდანვე იწყება მისი როლის გაზრდაც ქართ-ულ პოლიტიკურ მოღვაწეობაში-რაც განსაკუთრებით ე. გეგეჭკორის გარდაცვალების შემდეგგახდა მნიშვნელოვანი.

ნოე ცინცაძე ფრიად თავიsებური პიროვნება იყო. იგი ქართულ ემიგრანტულ საზოგადოებაში მისი თაობის პიროვნებათაგანაც ძლიერ განსხვავდებოდა.ნოე ცინცაძე სოც. დემ. წრეებში მემარც-ხენედ ითვლებოდა. ეს დაღი მას იქნებ იმიტომ აჩნდა, რომ ის ჭაბუკობის ხანაში მიხა ცხაკაიას ადეპტი ყოფილა და თუმცა შემდგომ მოწაფე მასწავლებელს არ გაჰყოლია, მაგრამ ერთჯერ მიღე-ბულ რწმენას თავი ვერასდროს დააღწია მთლიანად. იქნებ ნაწილობრივად მაინც, აქედანვე მომდ-ინარეობდეს ის მიდრეკილება თითქოს „კოსმოპოლიტიზმისადმი" რომელიც მას ახასიათებდა. იგი თითქო „ვერ" ეტეოდა ქართულ ჩარჩოში რომელიც მას „ვიწროდ" ეჩვენებოდა და უცხოელთა შორის ეძიებდა მისი „ინტელექტუალობის" პარტნიორებს, რომელთაც რუსებსა და რუს ებრაელთა შორის პოულობდა. მას მიაჩნდა, რომ ამ წრეში მისი იდეები უფრო შესაფერ ჩარჩოში იშლებოდა და მა-თთვის ღირსეულ დაფასებას იმსახურებდა.

ძლიერი პერსონალობის მქონი, გამორჩეულად კულტურული ჩვენს სოც. დემოკრატებს შორის ნოე ცინცაძე თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, აშკარად გულით დაუახლოვდა მისი სამშ-ობლო ქვეყნის ტკივილებს, მაგრამ ეს „ახლად შობა" ოთხმოც წელს გადაცილებულ კაცში დაიწყო.

მისი სახით ჩვენ გაგვშორდა , საქართველოს მოკლეხნიან დამოუკიდებლოლის ხანაში პასუხი-სმგებელ პოსტის მქონე პოლიტიკურ მოღვაწეთა უკანასკნელი წარმომადგენელი.

ნოე ცინცაძემ ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში თავისი ქვეყნისათვის იღვაწა-ისე რო-გორც ეს მას ესმოდა.ღმერთმა შენდობა მისცეს.ჩვენც კეთილად მოვიხსენებდეთ.

მ.- ქ .

სარედაქციო კოლეგია: გივი გაბლიანი. გივი ზალდასტანიშვილი. შალვა კალანდაძე. გულნარა პატარიძე ურატაძისა. მიხეილ ქავთარაძე (ტექსტის და გამოცემის რედაქტორი).

D I R E C T E U R O.P A T A R I D Z E.

ADRESSE D EDITEUR : MICHEL KAVTARADZE 61 CHEM. DE TABOR 91310 LINAS/ TEL.901 47 81

H O R S C O M M E R C E

IMPRIME PAR NOS PROPRES MOYENS

มหาวิทยาลัย
สงขลานครินทร์